



მიგრაციის საქართველოს ორგანიზაცია (IOM)

EU-ის მიერ დაფინანსებული პროექტი მიზნობრივი ინიციატივა
– საქართველოსთვის “ქართველი დაბრუნებული მიგრანტების
რეინტეგრაციისა და ევროკავშირისა და საქართველოს შორის
დადებული რეაღმისიის ხელშეკრულების განხორციელების
მხარდასაჭერად (TIG)

სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა 2011 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიში

თბილისი

2012

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
1. კვლევის მეთოდოლოგია და ორბანიზაცია	5
2. კვლევის ძირითადი შედეგები	11
2.1. გამოკვლეული ორბანიზაციების ძირითადი მახასიათებლები	11
2.2. ბიზნესის განვითარების ტენდენციები	15
2.3. აღამიანური რესურსები	31
2.4. სამუშაო ძალაზე კერძოკმტიული მოთხოვნა	47
2.5. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების თავისებურებები	56
დასკვნები და რეკომენდაციები	66
დ ა ნ ა რ თ ე ბ ი	73
დანართი 1. პროფესიები, რომელთა კადრების მოძიება დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია, რეგიონების მიხედვით	73
დანართი 2. დამსაქმებელთა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე პროფესიებისა და რეგიონების მიხედვით	85

შესავალი

პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა – საქართველო“ (TIG) ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული რეადმისიის ხელშეკრულების მხარდასაჭერად. მისი მიზანია არალეგალური მიგრაციის აღკვეთა, ლეგალური მიგრაციისა და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოდან შრომითი ემიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორები ძირითადად ეკონომიკური ბუნებისაა (უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე). შესაბამისად, არალეგალური მიგრაციის შემცირება და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაცია დიდწილად მათი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე არის დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია დაბრუნებულ მიგრანტთა ინფორმირება საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული ვითარების, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ტენდენციების შესახებ. ასეთი ტიპის ინფორმაცია წარმოადგენს დაბრუნებული მიგრანტების პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტიანად განხორციელების წინაპირობას. იგი ასევე მნიშვნელოვანია ცირკულარული მიგრაციის მართვისათვის.

საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უაღრესად მწირია და შემოიფარგლება რამდენიმე ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის პერიოდული (წელიწადში ერთხელ) გამოქვეყნებით. მსგავსი ინფორმაცია რეგიონულ დონეზე კიდევ უფრო მწირია.

საქართველოში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის, ასევე სამუშაო ძალის მიწოდების კვლევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, სამწუხაროდ, არ ხდება. შესაბამისად, არ არსებობს სისტემატიზებული ინფორმაცია, თუ რა პროფესიის კადრებზეა მოთხოვნა, რომელი სპეციალობის კადრებია დეფიციტური, რა ტენდენციებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზე და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას ცდილობენ სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები (IOM, USAID, UNDP, GIZ, NRC და სხვ). ამ სფეროში განსაკუთრებით აქტიურია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), რომელმაც 2007-2011 წლებში საქართველოს ეროვნული მეურნეობის, ცალკეული ტერიტორიული

ერთეულების, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მასშტაბით სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად 7 კვლევა ჩატარა. 2011 წელს სპეციალური კვლევა მიემდინა საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების შესწავლასაც (აღნიშნული კვლევების ანგარიშები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდებზე: www.iom.ge; www.jcp.ge). მაგრამ ასეთი კვლევების საჭიროება კვლავ დიდია, ვინაიდან შრომის ბაზარზე მოთხოვნა უაღრესად დინამიურია. უფრო მეტიც, მსგავსი კვლევების სისტემატურად ჩატარებისა და ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნის გარეშე, ძნელია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება. ამის გარეშე კი შეუძლებელია პროფესიული განათლებისა და სწავლების შრომის ბაზარზე ორიენტაციის გაძლიერება და ეფექტიანობის გაზრდა.

სწორედ ამიტომ ევროკავშირის პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა – საქართველო“ (TIG) რეგიონული შრომის ბაზრებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების უკეთ გასაცნობად ითვალისწინებს სპეციალური კვლევის ჩატარებას საქართველოს ოთხ რეგიონში:

1. ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთის მიმდებარე ტერიტორია;
2. ქ. რუსთავი და ქვემო ქართლის მიმდებარე ტერიტორია;
3. ქ. ქუთაისი და იმერეთის მიმდებარე ტერიტორია;
4. ქ. ზუგდიდი და სამეგრელოს მიმდებარე ტერიტორია.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია ჩამოთვლილ რეგიონებში IOM-ის მიერ 2011 წლის ივნის-ოქტომბერში ორგანიზებული კვლევის შედეგები.

1. კვლევის მეთოდოლოგია და ორბანიზაცია

პროექტის „მიზნობრივი ინიციატივა – საქართველო“ (TIG) ინტერესებიდან გამომდინარე, *კვლევის ძირითადი მიზანი* იყო საქართველოს ოთხ რეგიონში (1. ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთის მიმდებარე ტერიტორია; 2. ქ. რუსთავი და ქვემო ქართლის მიმდებარე ტერიტორია; 3. ქ. ქუთაისი და იმერეთის მიმდებარე ტერიტორია; 4. ქ. ზუგდიდი და სამეგრელოს მიმდებარე ტერიტორია) სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა და იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ასევე სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების სფეროში არსებული ვითარებისა და მათდამი დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესასრულებელი *სამუშაოები დაიგეგმა და განხორციელდა ოთხ ეტაპად:*

- I. მოსამზადებელი სამუშაოები;
- II. საველე სამუშაოები;
- III. კვლევის შედეგების დამუშავება და მონაცემთა კომპიუტერული ბაზის ფორმირება;
- IV. კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადება.

ცალკეულ ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები (შესრულების პერიოდი: 2011 წლის ივნის-აგვისტო):

ა) კვლევის მეთოდური მასალების მომზადება. კერძოდ, შემუშავდა:

- ✓ კითხვარი 1 – სამეწარმეო სექტორის დამსაქმებელთათვის;
- ✓ კითხვარი 2 – სახელმწიფო სექტორის დამსაქმებელთათვის;
- ✓ ვაკანსიის განაცხადის ფორმა;
- ✓ ინსტრუქცია ინტერვიუებისათვის;
- ✓ ინსტრუქცია კვლევის ადგილობრივი კოორდინატორებისათვის;
- ✓ წერილი დამსაქმებლებისათვის;
- ✓ გამოკვლევულ საწარმოთა აღრიცხვის ფორმა და წესი;
- ✓ ინტერვიუერთა მიერ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ფორმა და წესი;
- ✓ გამოსაკვლევი ობიექტების შერჩევის კრიტერიუმები;
- ✓ ინტერვიუერთა შერჩევის კრიტერიუმები.

ბ) საქართველოში მოქმედი საწარმოების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სტრატეგიკაცია რეგიონებისა და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მოპოვებული იქნა მონაცემები (ერთიანი სია) 2011 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ;

✓ მოქმედი საწარმოების ერთიანი სიიდან ამოირჩა და დაჯგუფდა საწარმოები იმ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, სადაც, პროექტის თანახმად, უნდა ჩატარებულიყო გამოკვლევა. ესენია:

- ქ. თბილისი (მუნიციპალიტეტები: გლდანი, დიდუბე, ვაკე, ისანი, მთაწმინდა, კრწანისი, ძველი თბილისი, ნაძალადევი, საბურთალო, სამგორი, ჩუღურეთი) და მცხეთა-მთიანეთის მიმდებარე ტერიტორია (ქ. მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი; დაბა თიანეთი და თიანეთის მუნიციპალიტეტი);
- ქ. რუსთავი და ქვემო ქართლის მიმდებარე ტერიტორია (ქ. გარდაბანი და გარდაბნის მუნიციპალიტეტი; ქ. მარნეული და მარნეულის მუნიციპალიტეტი);
- ქ. ქუთაისი და იმერეთის მიმდებარე ტერიტორია (ქ. სამტრედია და სამტრედიის მუნიციპალიტეტი; ქ. ზესტაფონი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტი; ქ. ჭიათურა და ჭიათურის მუნიციპალიტეტი; ქ. წყალტუბო და წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; ქ. ტყიბული და ტყიბულის მუნიციპალიტეტი);
- ქ. ზუგდიდი და სამეგრელოს მიმდებარე ტერიტორია (ქ. ზუგდიდი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; ქ. ფოთი; ქ. ხობი და ხობის მუნიციპალიტეტი; ქ. სენაკი და სენაკის მუნიციპალიტეტი).

გ) გამოსაკვლევი ობიექტების შერჩევა მათი ზომისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით:

- ✓ ცალკეული ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით საწარმოების შესარჩევად მოხდა მათი სტრატეგიკაცია ჯერ ზომის (მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით), შემდეგ კი საქმიანობის სფეროების მიხედვით;
- ✓ ზომის მიხედვით დაჯგუფებული საწარმოებიდან ამოირჩა ყველა მსხვილი (100 კაცზე მეტი მომუშავეთ) და საშუალო სიდიდის (20-დან 100 კაცამდე მომუშავეთ) საწარმო; ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში, ქ. თბილისის გარდა, სრულად შეირჩა ასევე საწარმოები 11-დან 20 კაცამდე მომუშავეთ. შერჩევისას ასეთი დიფერენცირებული მიდგომა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რეგიონებში, ქ. თბილისისაგან განსხვავებით, მცირეა საწარმოთა რაოდენობა 10 კაცზე მეტი მომუშავეთ. ქ. თბილისში 11-დან 20 კაცამდე და 5-დან 10 კაცამდე მომუშავეთ საწარმოების ამორჩევისას

მხედველობაში იქნა მიღებული მათი საერთო რაოდენობა და განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით. საწარმოების შერჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული მოთხოვნა, რომ კვლევის არეალში მოხვედრილიყო ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს საწარმო იმ რაოდენობით, რომ დაცული ყოფილიყო რეპრეზენტატულობის პრინციპი. მსგავსი მიდგომა განხორციელდა ასევე რეგიონებში საწარმოების შერჩევისას, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 5-10 კაცი და 5 კაცზე ნაკლები იყო. საწარმოები, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 3 კაცზე ნაკლებს შეადგენდა, შერჩევის არეალში არ მოხვდა, ვინაიდან სამუშაო ძალაზე მოთხოვნის თვალსაზრისით ასეთი ტიპის ორგანიზაციები, როგორც წესი, ნაკლებად დინამიურია.

✓ ამორჩეული საწარმოების რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ მოქმედ საწარმოთა სიაში, ტრადიციულად, დიდია ისეთ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებენ¹. აღნიშნულის გათვალისწინებით, თავდაპირველად ამორჩეულ საწარმოთა რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა გამოსაკვლევი ობიექტების დაგეგმილ რაოდენობას (2000-2200 ობიექტი) და შეადგინა 3950 საწარმო. კვლევის მომდევნო ეტაპზე, ადგილობრივი კოორდინატორებისა და ინტერვიუერების მონაწილეობით, დაზუსტდა მოცემულ ტერიტორიაზე ფაქტობრივად ფუნქციონირებადი საწარმოების სია, საიდანაც, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, განხორციელდა გამოსაკვლევი საწარმოთა საბოლოო შერჩევა.

დ) **კვლევის ადგილობრივ კოორდინატორთა შერჩევა და ინსტრუქტაჟი:** კვლევის ხელმძღვანელის მიერ ქ. თბილისში შეირჩა ორი, დანარჩენ რეგიონებში კი თითო-თითო ადგილობრივი კოორდინატორი. კვლევის ადგილობრივ კოორდინატორთა რაოდენობამ ჯამში 5 კაცი შეადგინა. შერჩეულ კოორდინატორებს ადგილზე გაეწიათ ინსტრუქტაჟი კვლევის ორგანიზების, ინტერვიუერებზე კვლევის ობიექტების განაწილების, საველე სამუშაოების ჩატარების, ინტერვიუერთა მონიტორინგის, გამოკვლეული საწარმოების აღრიცხვისა და სხვა საკითხებზე.

¹ საწარმოები სშირად წყვეტენ ფუნქციონირებას, მაგრამ მათი ამოღება მოქმედ საწარმოთა სიიდან არ ხდება, თუ მეწარმემ ოფიციალურად არ განაცხადა ლიკვიდაციის შესახებ.

- ე) პოტენციურ ინტერვიუერთა მოძიება და რეზერვის შექმნა: კვლევის ადგილობრივ კოორდინატორთა ჩართულობით, მოძიებული იქნა პოტენციური ინტერვიუერები: ქ. თბილისში – 82, ქ. ქუთაისსა და მის შემოგარენში – 26, ქ. რუსთავსა და მის შემოგარენში – 24, ქ. ზუგდიდსა და მის შემოგარენში – 18 კაცი.
- ვ) ინტერვიუერთა შერჩევა: კვლევის ხელმძღვანელის მიერ, ადგილობრივ კოორდინატორებთან ერთად, შერჩევის წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და გასაუბრების საფუძველზე, შეირჩა ქ. თბილისსა და მის შემოგარენში – 45, ქ. ქუთაისსა და მის შემოგარენში – 12, ქ. რუსთავსა და მის შემოგარენში – 10, ქ. ზუგდიდსა და მის შემოგარენში – 9 ინტერვიუერი; სულ 76 ინტერვიუერი.
- ზ) ინტერვიუერთა ტრენინგი: კვლევის ხელმძღვანელის მიერ ინტერვიუერებისათვის ჩატარდა 7 ტრენინგი, აქედან 2 – ქ. თბილისში; 1 – ქ. რუსთავში; 2 – ქ. ქუთაისში; 2 – ქ. ფოთში.

II ეტაპი: საველე სამუშაოები (შესრულების პერიოდი: 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერი):

რესპონდენტთა გამოკითხვა ძირითადად ჩატარდა ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით (პირდაპირი ინტერვიუ სპეციალური კითხვარის გამოყენებით). გარკვეული გამონაკლისი იყო სახელმწიფო მართვის დაწესებულებები, სადაც გამოკითხვა მოხდა ანკეტირების მეთოდით.

პროექტის თანახმად, გამოსაკითხი ობიექტების დაგეგმილი მოცულობა იყო 2000-2200, აქედან ქ. თბილისსა და მის შემოგარენში – 1300-1450; ქ. რუსთავსა და მისი შემოგარენში – 160-180; ქ. ქუთაისსა და მისი შემოგარენში – 350-370; 4. ქ. ზუგდიდსა და მისი შემოგარენში – 190-200 დამსაქმებელი. ფაქტობრივად გამოიკითხა: ქ. თბილისსა და მის შემოგარენში – 1450, ქ. რუსთავსა და მის შემოგარენში – 165, ქ. ქუთაისსა და მისი შემოგარენში – 351, ქ. ზუგდიდსა და მისი შემოგარენში – 170; სულ 2136 დამსაქმებელი.

გამოკითხვაში რესპონდენტთა მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. შესაბამისად, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა რესპონდენტები უარს ამბობდნენ კვლევაში მონაწილეობაზე. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუერებს, ადგილობრივ კოორდინატორთან შეთანხმებით, შეეძლოთ რესპონდენტის ჩანაცვლება სხვა რესპონდენტით ე.წ. „სათადარიგო სიიდან“ იმ პრინციპით,

რომ არ დარღვეულიყო შერჩევის კრიტერიუმები (საწარმოს ზომა და საქმიანობის სფერო).

საველე სამუშაოების მიმდინარეობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებდნენ როგორც ადგილობრივი კოორდინატორები, ისე კვლევის ხელმძღვანელი.

III ეტაპი: კვლევის შედეგების დამუშავება და მონაცემთა კომპიუტერული ბაზის ფორმირება (შესრულების პერიოდი: 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერი).

ამ ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ კითხვარების შევსების ლოგიკური და ხარისხობრივი კონტროლი;
- ✓ ღია კითხვებზე პასუხების სისტემატიზაცია და იდენტიფიცირება;
- ✓ ღია კითხვებზე პასუხებისათვის პირობითი შიფრის მინიჭება;
- ✓ დამუშავებული კითხვარების მონაცემების (რესპონდენტთა პასუხების) კომპიუტერულ ბაზაში შეტანა;
- ✓ კვლევის შედეგების დამუშავება;
- ✓ პირველადი ცხრილების მომზადება;
- ✓ შედეგების ლოგიკური კონტროლის საფუძველზე მონაცემთა დაზუსტება და ბაზის გაწმენდა;
- ✓ მონაცემთა ბაზის საბოლოო ვერსიის მომზადება.

კვლევის შედეგები დამუშავდა კომპიუტერული წესით. კომპიუტერში მონაცემთა შეყვანა, შესაბამისი ბაზის ფორმირება, შეწონვა და აგრეგირება განხორციელდა MS ACCESSTM-ში. გამოსავალი ინფორმაცია მომზადდა MS EXCELTM-ში, საბოლოო ცხრილები MS WORDTM-ში.

IV ეტაპი: კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადება (შესრულების პერიოდი: 2011 წლის დეკემბერი - 2012 წლის იანვარი):

კვლევის შედეგების ანალიზის დროს გამოყენებული იქნა ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მიღებული იქნა დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად. სიღრმისეული ანალიზისა და შეფასებებისათვის გააკეთდა ასევე კორელაციური დაჯგუფებები შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ა) ტერიტორიული ერთეულების მიხედვით;
- ბ) საქმიანობის სფეროების მიხედვით;

კ) სამეწარმეო სექტორისა და სახელმწიფო სექტორების მიხედვით.

კვლევის შედეგები დაჯგუფდა და გაანალიზდა 5 თემატური მიმართულებით: 1. გამოკვლეული საწარმოების ძირითადი მახასიათებლები; 2. ბიზნესის განვითარების ტენდენციები; 3. ადამიანური რესურსები; 4. სამუშაო ძალაზე პერსპექტიული მოთხოვნა; 5. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების თავისებურებები.

კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგს, კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის ბაზრის კვლევების კოორდინატორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ციური ანთაძე. მასვე ეკუთვნის წინამდებარე ანგარიშის ტექსტიც.

2. კვლევის ძირითადი შედეგები


2.1. გამოკვლეული ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებლები

კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობისა და შეფასებების საიმედოობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკვლეული საწარმოებისა და ორგანიზაციების შემადგენლობას.

კვლევაში მონაწილე 2136 რესპონდენტიდან 1950 მეწარმეა, ხოლო 186 სახელმწიფო მართვის დაწესებულებისა (სამინისტრო, დეპარტამენტი, სააგენტო, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები) და სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი. ბიზნეს-გარემოსა და ეკონომიკური ტენდენციების შესწავლა მოხდა მეწარმეების გამოკითხვის საფუძველზე, ხოლო სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლა ყველა ტიპის (კერძო და სახელმწიფო, სამეწარმეო და არასამეწარმეო) ორგანიზაციის გამოკვლევის საფუძველზე.

კვლევამ მოიცვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაწესებულება (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



გამოკვლეულ ორგანიზაციათა შორის შპს-ს დიდი წილი აიხსნება იმ გარემოებით, რომ საქართველოში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების აბსოლუტური უმრავლესობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შპს². საწარმოთა ზომის (მომუშავეთა რაოდენობის) მიხედვით შერჩევამ განაპირობა გამოკითხულთა შორის ინდივიდუალური საწარმოების შედარებით მცირე წილი. დანარჩენი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები გენერალური ერთობლიობის პროპორციულად არის წარმოდგენილი.

რეგიონულ შრომის ბაზრებზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში მოღვაწე სუბიექტების გამოკვლევა. შესაბამისად, გამოკითხვამ მოიცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს დამსაქმებელი (იხ. ცხრილი 2.1.1). ტერიტორიის მიხედვით მათი განაწილების პროპორციები არსებითად შეესაბამება რეგიონების დარგობრივ სპეციფიკას იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოთა შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმი იყო მომუშავეთა რაოდენობა.

ცხრილი 2.1.1. გამოკვლეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ბანაწილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროს მიხედვით, საწარმო/ორგანიზაცია


² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2011 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ საწარმოთა 60% არის შპს.

	ეკონომიკური საქმიანობის სფერო	სულ	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
	<i>სულ*</i>	<i>2153</i>	<i>1457</i>	<i>353</i>	<i>173</i>	<i>170</i>
1	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა	18	10	4	3	1
2	სამთომომპოვებელი მრეწველობა	9	3	2	2	2
3	დამამუშავებელი მრეწველობა	374	230	79	17	48
4	ელექტრო ენერჯის, აირისა და წყალმომარაგება	35	20	6	4	5
5	მშენებლობა	121	80	15	11	15
6	ვაჭრობა	288	208	36	25	19
7	ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი	59	38	11	4	6
8	სასტუმროები და რესტორნები	166	103	35	15	13
9	ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა	94	60	14	15	5
10	ტურისტული სააგენტოები	37	34	2	1	
11	კაემირგაბმულობა	70	44	12	8	6
12	საფინანსო შუამავლობა	33	21	8	3	1
13	დაზღვევა	11	9	2	–	–
14	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, საყოფაცხოვრებო ნივთების გაქირავება	26	18	8	–	–
15	კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა	20	16	2	–	2
16	კვლევები და დამუშავებები	33	27	2	1	3
17	სახელმწიფო მართვა	32	20	9	3	
18	განათლება	262	204	26	25	7
19	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	228	135	56	14	23
20	კომუნალური მომსახურება	21	11	5	3	2
21	პერსონალური და სოციალური მომსახურება	168	132	10	16	10
22	დასვენება, გართობა, კულტურა, სპორტი	48	34	9	3	2

* შენიშვნა: რესპონდენტთა რაოდენობა საქმიანობის სახეობის მიხედვით აღემატება გამოკითხული ობიექტების საერთო რაოდენობას (2136), ვინაიდან მეწარმეთა ნაწილი ერთდროულად საქმიანობს ორ სხვადასხვა სახის ბიზნესში.


შერჩევის აღნიშნულმა კრიტერიუმმა გავლენა იქონია გამოკვლეული საწარმოების განაწილებაზე მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით (იხ. დიაგრამა 2). კერძოდ, გამოკვლეულ საწარმოთა შორის მცირეა მიკრო (5 კაცზე ნაკლები მომუშავეთ) საწარმოების წილი (3%); 46% – მცირე ზომისაა (5-დან 20 კაცამდე მომუშავეთ), 37% – საშუალო ზომის (20-დან 100 კაცამდე მომუშავეთ) და 14% – მსხვილი (100 კაცზე მეტი მომუშავეთ).

დიაგრამა 2



გამოკვლეული საწარმოების განაწილება საქმიანობის ხანგრძლივობის მიხედვით ასევე მრავალფეროვანია. კერძოდ, გამოკვლეულ საწარმოთა 42%-ის სამეწარმეო საქმიანობის სტაჟი 10 წელზე მეტია; 14%-ის – 7-10 წელი; 16%-ის – 5-6 წელი; 13%-ის – 3-4 წელი; 10%-ის – 1-2 წელი და 5%-ის – 1 წელზე ნაკლები (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3



აღნიშნული პარამეტრების მიხედვით გამოკითხულ საწარმოთა განაწილება იმ რეგიონების მიხედვით, სადაც ჩატარდა გამოკვლევა, ფაქტობრივად იდენტურია და ასახავს რეალურად არსებულ პროპორციებს, რაც კვლევის შედეგების მაღალ რეპრეზენტატულობას უზრუნველყოფს.


2.2. ბიზნესის განვითარების ტენდენციები

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა სამეწარმეო საქმიანობის ტენდენციები ბოლო და მომავალი ერთი წლის განმავლობაში, ვინაიდან ამ ტენდენციებზე არსებითად არის დამოკიდებული სამუშაო ადგილების შექმნა და ადამიანურ რესურსებზე დამატებითი მოთხოვნა.

გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ საქართველოს ოთხივე რეგიონში **სამეწარმეო საქმიანობის ტენდენციებში ჭარბობდა პოზიტიური ცვლილებები**. კერძოდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2010 წლის სექტემბრიდან 2011 წლის სექტემბრამდე) გამოკვლეულ საწარმოთა 35%-მა გააფართოვა ბიზნესი, 28%-მა გააუმჯობესა მენეჯმენტი, 21%-მა დანერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, 42%-მა გაზარდა მომუშავეთა რაოდენობა, ხოლო 18%-მა გააუმჯობესა კადრების სტრუქტურა. გამომდინარე იქედან, რომ ბიზნეს-რეალობა არასოდეს არ არის ერთგვაროვანი, მეწარმეთა ნაწილისათვის სიტუაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაუარესდა. კერძოდ,

გამოკითხული მეწარმეების 9%-მა შეკვეცა ბიზნესი, ხოლო 13%-მა შეამცირა მომუშავეთა რაოდენობა; მეწარმეთა 1/4-სათვის კი სიტუაცია არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



აღნიშნული *ტენდენციები გამოკვლეული რეგიონების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავებულია* (იხ. ცხრილი 2.2.1). როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გააფართოვეს ბიზნესი, მეტია ზუგდიდსა და მის შემოგარენში (ძირითადად ქ. ფოთში), ასევე ქ. ქუთაისში. ქ. თბილისშიც საკმაოდ მაღალია წარმატებულ მეწარმეთა წილი, თუმცა რეგიონულ მაჩვენებელზე ნეგატიური გავლენა თბილისის შემოგარენის (ქ. მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი; დაბა თიანეთი და თიანეთის მუნიციპალიტეტი) მეწარმეთა გამოკითხვის შედეგებმა იქონია, რამდენადაც ამ რეგიონებში (განსაკუთრებით, დაბა თიანეთსა და თიანეთის მუნიციპალიტეტში) ეკონომიკა ფაქტობრივად დეპრესიულ მდგომარეობაშია. მენეჯმენტის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით უკეთესი შედეგები ქ. ქუთაისსა და ქ. რუსთავში დაფიქსირდა. მომუშავეთა რაოდენობის ზრდაზე უფრო ხშირად მიუთითეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის მეწარმეებმა. ამ ქალაქებსა და მათ შემოგარენში მაღალია ასევე იმ მეწარმეების წილი, რომელთათვისაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა. ბიზნესის შეკვეცისა და თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია უფრო

ხშირად დაასახელეს ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის, ასევე ქ. ზუგდიდისა და მისი შემოგარენის მეწარმეებმა.

ცხრილი 2.2.1. ცვლილებები საწარმოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეპორნების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	<i>ცვლილებები</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	გაიზარდა/გაფართოვდა ბიზნესი	34	39	37	31
2	გაიზარდა თანამშრომლეთა რიცხვი	42	44	30	29
3	გაუმჯობესდა მენეჯმენტი	27	34	20	34
4	გაუმჯობესდა კადრების სტრუქტურა	17	23	17	17
5	დაინერგა ახალი ტექნიკა და/ან ტექნოლოგია	20	24	21	22
6	არაფერი არ შეცვლილა	27	21	22	20
7	შეიკეცა ბიზნესი	10	8	9	8
8	თანამშრომლების რაოდენობა შეცვლირა	14	11	14	7
9	გარემონტდა შენობა	1	1	–	1
	სულ*	192	205	170	169

* შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესაფასებლად საინტერესოა იმ ფაქტორთა ანალიზი, რამაც ცალკეულ რეგიონში ბიზნესის განვითარება თუ შეფერხება განაპირობა.

გამოკითხვის შედეგებით, *ფაქტორები, რომლებმაც მეწარმეებს ხელი შეუწყო ბიზნესის შენარჩუნებასა და/ან გაფართოებაში*, საკმაოდ ფართოა (იხ. ცხრილი 2.2.2).

ცხრილი 2.2.2. ბიზნესის განვითარება/შენარჩუნების ხელშემწყობი ფაქტორები რეპორნების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	<i>ფაქტორები</i>	<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	მოთხოვნა (ბაზრის არსებობა)	31	34	26	28	28
2	კადრების პროფესიონალიზმი	28	29	33	19	21
3	პროდუქციის/მომსახურების ხარისხი	27	26	28	35	22

4	სწორი მენეჯმენტი/მარკეტინგი	19	18	24	19	17
5	პოლიტიკური და კრიმინოლოგიური ვითარების გაუმჯობესება	12	10	22	9	14
6	ქვეყანაში ეკონომიკური/საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	9	9	13	1	8
7	სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა	8	9	10	7	6
8	ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვა	8	7	11	12	5
9	საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება	7	7	12	3	9
10	ხელმისაწვდომი/დაბალი ფასები	6	5	8	11	6
11	ენტუზიაზმი, თავდაუზოგავი შრომა	6	7	6	2	3
12	იმიჯი/მომხმარებლის ნდობა	6	6	6	2	4
13	კარგი ინფრასტრუქტურა	5	3	16	3	3
14	ადგილმდებარეობა	5	4	8	7	3
15	ბიზნეს პარტნიორები	5	5	5	6	6
16	ფინანსური უზრუნველყოფა; კრედიტის ხელმისაწვდომობა	4	3	7	6	5
17	გამოცდილება	3	3	4	1	4
18	უცხოელი პარტნიორის/დონორის/ინვესტორის დახმარება	2	2	3	1	
19	პროდუქციის/მომსახურების ფართო ასორტიმენტი	2	2	4	3	1
20	კონკურენტების არარსებობა/დაბალი კონკურენცია	2	1	6	1	3
21	ადგილობრივი ნედლეულის ხელმისაწვდომობა	1	1	2	1	1
22	სხვა	1	1	–	1	1
23	არაფერი	2	2	2	2	1
24	არ უპასუხა	4	4	4	3	5
	სულ	203	198	260	183	176

*** შენიშვნა:** კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ბიზნესის ხელშემწყობ ფაქტორთა დაჯგუფება შეიძლება მოხდეს ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებად. მეწარმეთა მიერ დასახელებულ ხელშემწყობ ფაქტორთაგან პირველი ოთხი **ენდოგენური** ხასიათისაა და ბიზნესის განვითარების ბუნებრივ წინაპირობებს წარმოადგენს. ესენია:

- მოთხოვნა პროდუქციასა და მომსახურებაზე (გასაღების ბაზრის არსებობა);
- მაღალკვალიფიციური კადრები (კადრების პროფესიონალიზმი);
- პროდუქციის/მომსახურების მაღალი ხარისხი;
- ეფექტური მენეჯმენტი.

ბიზნესის განვითარება/შენარჩუნების აღნიშნული ფაქტორები ყველა გამოკვლეული რეგიონის მეწარმეებისათვის უმთავრესია, თუმცა ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის მეწარმეებისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობია გასაღების ბაზრის არსებობა; ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენის მეწარმეებისათვის – კადრების პროფესიონალიზმი და ეფექტური მენეჯმენტი; ქ. ზუგდიდისა და მიმდებარე ტერიტორიის მეწარმეებისათვის – პროდუქციის/მომსახურების მაღალი ხარისხი (იხ. ცხრილი 2.2.2).

ხელშემწყობ ფაქტორთა შორის წამყვან პოზიციებზე დასახელდა ასევე **ეგზოგენური ფაქტორებიც**. ესენია: ქვეყანაში პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესება, ბიზნეს-გარემოს სრულყოფა, სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება; საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა და სხვ. კვლევის შედეგებით, ამ ფაქტორების მნიშვნელობა ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენის მეწარმეებისათვის განსაკუთრებით დიდია.

სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა, სპეციალური სახელმწიფო პროგრამების, შეკვეთების, ტენდერების და სხვა გზით, დაასახელა გამოკითხული მეწარმეების 8%-მა. მათი წილი შედარებით მეტია ქ. ქუთაისისა (10%) და ქ. თბილისში (9%). სახელმწიფოს განსაკუთრებულ მხარდაჭერას აფიქსირებენ ტურიზმის (22%), კომუნალური მეურნეობის (22%), ელ. ენერჯისა და წყალმომარაგების (17%), ასევე მშენებლობის (16%) სფეროების მეწარმეები. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტორი საერთოდ არ დაასახელეს სოფლის მეურნეობისა და საფინანსო შუამავლობის სფეროების მეწარმეებმა.

ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვა, როგორც ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი, დაასახელა გამოკითხული მეწარმეების მხოლოდ 8%-მა. საინტერესოა, რომ სიახლეების დანერგვის მაჩვენებელი სამეგრელოსა და იმერეთის მეწარმეების მიერ უფრო ხშირად იქნა დასახელებული, ვიდრე ქ. თბილისსა და ქვემო ქართლში. საქმიანობის სფეროები, სადაც ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვა გახდა ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, მეტია კომუნალურ მეურნეობაში (გამოკითხულთა 22%), ჯანდაცვაში (20%), კავშირგაბმულობასა (13%) და განათლებაში (12%).

ბიზნესის ხელშემწყობ ფაქტორთა ათეულში მოხვდა *პროდუქციასა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომი/დაბალი ფასები*, რაც მოსახლეობის დაბალ მსყიდველობითუნარიანობას უკავშირდება. გამოკითხულ დამსაქმებელთა აზრით, სწორედ მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა გვევლინება ბიზნესის განვითარების უმთავრეს ხელშემშლელი ფაქტორად (იხ. ცხრილი 2.2.3). ოთხივე რეგიონში თითქმის ყოველი მე-4 მეწარმე ბიზნესის განვითარების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ამ მიზეზს ასახელებს. მასზე განსაკუთრებით ჩივიან სამეგრელოს მეწარმეები. ეს გასაგებიცაა, რადგან, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც, სამეგრელოს რეგიონი სიღარიბის მაღალი დონით ხასიათდება.

ცხრილი 2.2.3. ბიზნესის განვითარება/შენარჩუნების ხელშემშლელი ფაქტორები რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	<i>ფაქტორები</i>	<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა/ უმუშევრობა/კლიენტების შემცირება	25	24	23	29	24
2	ფინანსების ნაკლებობა/ საბანკო კრედიტის ხელმიუწვდომლობა	16	12	28	22	22
3	მაღალი კონკურენცია	13	11	19	24	6
4	საგადასახადო სისტემა; საბაჟოზე მაღალი გადასახადები	9	7	14	9	11
5	ეკონომიკური კრიზისი; ფასების ზრდა	8	10	2	4	9
6	არაღანსადი კონკურენცია; მონოპოლისტები	8	7	12	5	4
7	არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა; მოუწესრიგებელი საკანონმდებლო სისტემა	7	7	13	3	1

8	ნედლეულზე, მასალებზე, ელ. ენერჯიაზე, საწვავზე მაღალი ფასები	7	6	8	8	10
9	მომუშავეთა დაბალი პროფესიონალიზმი	6	6	7	7	6
10	განუვითარებელი ინფრასტრუქტურა; შესაბამისი ფართის არარსებობა	5	3	6	7	4
11	მოძველებული ტექნიკა/ტექნოლოგიები; ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა	5	2	11	11	5
12	გასაღების ბაზრის შეზღუდულობა (მცირე შიდა ბაზარი)	3	2	4	3	9
13	არასაიმედო პარტნიორები	2	2	3	1	1
14	არასტაბილური პოლიტიკური გარემო;	2	3	2	–	1
15	კლიმატური პირობები; წარმოების სეზონურობა	2	2	1	3	1
16	მოსახლეობის არაინფორმირებულობა; რეკლამის უქონლობა/სიძვირე	2	2	3	2	1
17	ცუდი ადგილმდებარეობა	1	1	2	2	–
18	ნედლეულის, მასალების დეფიციტი	1	1	2	–	1
19	ხელისუფლების ჩარევა/ზეწოლა;	1	1	1	2	–
20	ინფლაცია; ვალუტის კურსის მერყეობა	1	1	1	1	1
21	მოსახლეობის მიგრაცია რაიონიდან	1	0,1	3	1	1
22	წყვეტადობა ელ. ენერჯიის, წყლის მომარაგებაში	1	0,1	1	1	3
23	სხვა	1	1	1	1	1
24	არაფერი	13	15	8	3	10
25	არ უპასუხა	10	13	4	4	12
	სულ*	150	139	179	153	144

*შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

კვლევის შედეგებით, ბიზნესის განვითარება/შენარჩუნების მეორე უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორია **ფინანსების ნაკლებობა და საბანკო კრედიტის ხელმიუწვდომლობა**. მეწარმეები ხაზგასმით აფიქსირებენ, რომ საბანკო კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობა, მოთხოვნილი გირაოს დიდი ღირებულება, სესხის აღების რთული პროცედურები მათთვის ფაქტობრივად ხელმიუწვდომელს ხდის ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებს. ეს პრობლემა ყველა რეგიონისათვის აქტუალურია,

თუმცა მეტი სიმწვავეით დგას ქ. თბილისს გარეთ რეგიონებში (იხ. ცხრილი 2.2.3).

გამოკითხული მეწარმეების 13%-მა ბიზნესის განვითარების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ბაზარზე **მაღალი კონკურენცია** დაასახელა. ეს მიზეზი განსაკუთრებით ხშირად დაასახელეს საფინანსო შუამავლობის (გამოკითხულთა 27%), დაზღვევის (27%), ავტომობილებისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტის (19%), დამამუშავებელი მრეწველობის (18%), ვაჭრობის (17%), ტრანსპორტის (16%) სფეროში მომუშავე მეწარმეებმა. ბაზრის გაჯერებულობასა და კონკურენციის მაღალ ხარისხს განსაკუთრებით უჩივიან სამეგრელოსა და იმერეთის მეწარმეები (იხ. ცხრილი 2.2.3).

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში არსებითად გაუმჯობესდა ბიზნეს-გარემო და შემცირდა **გადასახადების ოდენობა და განაკვეთები**, გამოკითხულ მეწარმეთა 9%-მა ბიზნესის განვითარების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად არსებული საგადასახადო სისტემა (მაღალი გადასახადები და ჯარიმები, პრობლემები საგადასახადო ადმინისტრირებაში) დაასახელა. რეგიონებში ბიზნესის დაბალი რენტაბელობითა და მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საგადასახადო სისტემას, ქ. თბილისთან შედარებით, უფრო ხშირად რეგიონებში მოდგაწე მეწარმეები უჩივიან.

სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას მოითხოვს ის გარემოება, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 8% ბიზნესის განვითარების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ბაზარზე **არაჯანსაღი კონკურენციისა და მონოპოლისტების არსებობას** ასახელებს. საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დიდია ეკონომიკური საქმიანობის შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი (16%); სამთო და დამამუშავებელი მრეწველობა (11%); ჯანდაცვა (10%); პერსონალური და სოციალური მომსახურება (10%); ვაჭრობა (9%). რაც შეეხება რეგიონულ მაჩვენებლებს, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე ხშირად იმერეთის მეწარმეებმა დაასახელეს (გამოკითხულ მეწარმეთა 12%).

საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში **არასწორ სახელმწიფო პოლიტიკასა და მოუწესრიგებელ საკანონმდებლო სისტემას**, როგორც ბიზნესის ხელშემშლელ ფაქტორს, ასახელებს გამოკითხულ მეწარმეთა 7%. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილოთა წილი განსაკუთრებით მაღალია სოფლის მეურნეობაში (17%), ჯანდაცვაში (16%), სატრანსპორტო ბიზნესში (15%).

აღნიშნულ ფაქტორზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეწარმეთა მეტი წილი მიუთითებს იმერეთის რეგიონში.

მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია, როგორც ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი დაასახელა გამოკითხული მეწარმეების 6%-მა. საკუთარი მომუშავეების პროფესიონალიზმით უკმაყოფილო დამსაქმებლების წილი განსაკუთრებით მაღალია დაზღვევის (18%), სოფლის მეურნეობის (17%), კომპიუტერთან დაკავშირებული საქმიანობის (15%), მშენებლობისა (12%) და ტურიზმის (11%) სფეროებში. გამოკვლეული რეგიონების მიხედვით სიტუაცია ამ მხრივ თითქმის ერთგვაროვანია (იხ. ცხრილი 2.2.3).

ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელი ფაქტორად *მოდველებული ტექნიკა/ტექნოლოგიები და ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა* დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობის მიზეზი, ფინანსური რესურსების ნაკლებობასთან ერთად, ინფორმაციისა და სამეურნეო კავშირების დეფიციტითაც არის განპირობებული, განსაკუთრებით, რეგიონებში. ეს აისახა კვლევის შედეგებშიც: იმ მეწარმეების წილი, რომელთათვისაც ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიები ხელმიუწვდომელია, ქ. თბილისთან შედარებით 5,5-ჯერ მეტია იმერეთსა და სამეგრელოში და 2,5-ჯერ მეტი ქვემო ქართლში.

რეგიონების მეწარმეებისათვის ასევე უფრო პრობლემატურია გასაღების ბაზრის მოძიება ქვეყნის გარეთ. შესაბამისად, *გასაღების ბაზრის შეზღუდულობა* მათთვის ერთ-ერთი სეროზული ხელშემშლელი ფაქტორია.


საგულისხმოა, რომ ბიზნესის შენარჩუნება/განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად *რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაცია* დასახელდა. ეს მიზეზი უფრო ხშირად იმერეთის რეგიონის დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებში დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 2.2.3).

წინა წლებისაგან განსხვავებით, ბიზნესის ხელშემშლელ ფაქტორებს შორის მეწარმეთა ძალიან მცირე ნაწილმა (გამოკითხულთა 1%) დაასახელა ხელისუფლების ჩარევა/ზეწოლა და კორუფცია, ასევე წყვეტადობა ელექტრო ენერჯისა და წყალ-მომარაგებაში, რაც უკანასკნელ წლებში საქართველოს ხელისუფლების აქტიური ძალისხმევის ასახვაა.

ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება დადებითად აისახება მეწარმეთა განწყობასა და სამომავლო გეგმებზე. კითხვაზე: „*როგორ განვითარდება თქვენი ბიზნესი უახლოეს მომავალში?*“ – გამოკითხული მეწარმეების 73%-მა

ოპტიმისტური მოლოდინი დააფიქსირა: მეწარმეთა 73% ფიქრობს, რომ მისი ბიზნესი გაიზრდება. გამოკითხული მეწარმეების მხოლოდ 3%-ს აქვს ბიზნესის შეიკვეცის მოლოდინი, 10%-ის აზრით, არაფერი არ შეიცვლება, ხოლო 11 % – გაურკვეველ ვითარებაშია (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5.



რეგიონების მიხედვით მეწარმეთა მოლოდინები დაახლოებით ერთნაირია (იხ. ცხრილი 2.2.4), თუმცა, ქ. თბილისთან შედარებით, სამეგრელოსა და იმერეთის მეწარმეები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და თითქმის ნახევარს ბიზნესის მნიშვნელოვნად გაზრდის მოლოდინი აქვს. იმ მეწარმეთა წილი, რომელთათვისაც ბუნდოვანია საკუთარი ბიზნესის უახლოესი მომავალი, მეტია ქვემო ქართლში, ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში.


ცხრილი 2.2.4. ბიზნესის ცვლილების მოლოდინი უახლოესი 1 წლის განმავლობაში რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	მეწარმეთა მოლოდინი	სულ	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	გაიზრდება მნიშვნელოვნად	40,8	38,6	45,5	48,4	41,6
2	გაიზრდება უმნიშვნელოდ	32,4	33,8	30,9	31,4	24,7
3	არ შეიცვლება	10,4	10,9	11,5	4,6	9,1
4	მნიშვნელოვნად შემცირდება	1,3	1,0	2,7	2,0	0,6

5	შემცირდება უმნიშვნელოდ	1,8	1,0	4,2	0,7	4,5
6	უპერსპექტივოა	1,8	2,1	0,9	1,3	1,3
7	არ იცის	11,5	12,6	4,3	11,6	18,2
	სულ	100	100	100	100	100

მეწარმეები საკუთარი **ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებას** ერთდოულად სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით აპირებენ (კვლევის შედეგებით, ერთ გამოკითხულ მეწარმეზე საშუალოდ 3 სახის რესურსი მოდის). მათგან უპირველესია ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვა (გამოკითხულთა 59%), მენეჯმენტის (წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის) გაუმჯობესება (48%), გასაღების ახალი ბაზრების მოძიება/ათვისება (34%), მომუშავეთა კვლიფიკაციის ამაღლება (33%) და პროდუქციის/მომსახურების ხარისხის სრულყოფა (32%) (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6.



ყველა გამოკვლეულ რეგიონში ბიზნესის შენარჩუნება/განვითარების ძირითად საშუალებებად აღნიშნული რესურსები დასახელდა, თუმცა ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიის დანერგვას ბევრად მეტი მეწარმე აპირებს იმერეთში, მენეჯმენტის გაუმჯობესების დიდი იმედი აქვთ ქვემო ქართლში, გასაღების ახალი ბაზრების მოძიებაზე მეტად ორიენტირებულნი არიან ქ. თბილისსა და

იმერეთში, ხოლო მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას უფრო მეტად ხელავენ სამეგრელოში (იხ. ცხრილი 2.2.5).

ცხრილი 2.2.5. ბიზნესის შენარჩუნება/ბანკოთარების ბზები რეგიონების მიხედვით, ბამოკითხვის შედეგებით, %

	<i>ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოე ბის გზები</i>	<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარე ნი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარე ნი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარე ნი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარე ნი</i>
1	ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიის დანერგვით	59	53	86	60	56
2	მენეჯმენტის გაუმჯობესებით	48	48	50	39	57
3	გასაღების ახალი ბაზრების ათვისებით	34	35	35	27	28
4	მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით	33	32	35	39	32
5	ხარისხის გაუმჯობესებით	32	32	35	24	34
6	ახალი პროდუქციის/მომსახურების შეთავაზებით	23	22	31	15	20
7	პროდუქციის/მომსახურების გაზრდით	16	15	22	12	13
8	ახალი პარტნიორების ჩართვით	14	14	15	20	14
9	საბანკო კრედიტით ან სესხით	11	10	16	14	8
10	უცხოური კაპიტალის მოზიდვით	6	5	6	10	5
11	საკუთარი და/ან პარტნიორების დანაზოგით	5	3	6	14	3
12	დონორებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარებით	1	2	1	1	1
13	არ იცის	4	4	2	3	6
	სულ*	286	275	340	278	277

* შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

მეწარმეთა შედარებით ნაკლები რაოდენობაა ორიენტირებული პროდუქციის/მომსახურების მოცულობის გაზრდაზე, რაც საქართველოს შიდა ბაზრის შეზღუდულობითა და მაღალი გაჯერებით შეიძლება აიხსნას.

მომავალში ახალი ასორტიმენტის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებას აპირებს გამოკითხული მეწარმეების თითქმის 1/4 (23%), ხოლო ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულია მეწარმეთა 1/3.

გამოკითხული მეწარმეები ასახელებენ იმ **ფინანსურ წყაროებსაც**, საიდანაც აპირებენ ბიზნესის შენარჩუნებისა თუ განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ, მეწარმეთა 14% აპირებს ბიზნესში ჩართოს ახალი პარტნიორი; 11% გეგმავს ბანკიდან კრედიტის აღებას; 6%-ს უცხოელი ინვესტორის, 1%-ს კი დონორი ორგანიზაციის იმედი აქვს; 5% – საკუთარი და/ან არსებული ბიზნეს პარტნიორის ფინანსური რესურსებით აპირებს ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებას.

დაფინანსების წყაროების განაწილება რეგიონების მიხედვით თითქმის ერთნაირია (იხ. ცხრილი 2.2.5), თუმცა დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვაზე უფრო მეტად სამეგრელოს მეწარმეები არიან ორიენტირებულნი.

ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, მეწარმეები აფიქსირებენ საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტორებს და იძლევიან რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გაკეთდეს **ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისა და ახლი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის** (იხ. ცხრილი 2.2.6). შემოთავაზებული რეკომენდაციები (ერთ მეწარმეზე საშუალოდ 4 რეკომენდაცია) ეხება როგორც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებას, საკანონმდებლო ბაზისა და ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას, ისე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას და ა.შ.

ცხრილი 2.2.6. მეწარმეთა რეკომენდაციები ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის, გამოკითხვის შედეგებით

	რეკომენდაცია	საწარმო	%
1	საბანკო კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება; პროცედურების გამარტივება	1500	77
2	გადასახადების შემცირება; პროცედურების გამარტივება	1441	72
3	პოლიტიკური სტაბილურობა	1066	55
4	ადამიანური რესურსების განვითარება	613	31
7	თავისუფალი კონკურენტული გარემოს არსებობა; ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა	433	22

8	სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევისა და ზეწოლის დაუშვებლობა	385	20
9	ბიზნესის გათავისუფლება გადასახადებისგან საქმიანობის პირველი წლის მანძილზე	359	18
10	ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობა	329	17
11	გასაღებისათვის ახალი ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება	335	17
12	მცირე ბიზნესისათვის ფიქსირებული გადასახადის დაწესება	230	12
13	შრომის კანონმდებლობის სრულყოფა	154	8
14	ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესის გამარტივება	130	7
15	პროდუქციის ტრანსპორტირებასა და გასაღებაში დახმარება	139	7
16	რეინვესტირების სახსრების გადასახადებისგან გათავისუფლება	101	5
17	ბიზნესის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება	80	4
18	მაღალმთიან რეგიონებში გადასახადების შემცირება	25	1
19	სხვა	10	1
	სულ*	7330	376

* შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

გამოკვლევულ საწარმოთა 77%-სათვის ყველაზე აქტუალურია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ისინი იძლევიან რეკომენდაციას, რომ ბიზნესის მხარდაჭერისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია *საბანკო კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება და სესხის აღების პროცედურების გამარტივება, მოთხოვნილი გირაოს ღირებულების შემცირება, გრძელვადიანი კრედიტის გაცემა, წარმოების სეზონურობის გათვალისწინება ბანკის მიერ* და ა.შ.

მეორე პოზიციაზე დასახელდა *გადასახადების შემცირებისა და საგადასახადო პროცედურების გამარტივების საჭიროება* (გამოკითხულ მეწარმეთა 72%). მეწარმეთა ნაწილი (18%) ითხოვს ბიზნესის გადასახადებისგან გათავისუფლებას საქმიანობის პირველი წლის მანძილზე; 12% – მცირე მეწარმეთათვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, 5% – რეინვესტირების სახსრების გადასახადისაგან გათავისუფლებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ამჟამად ინიცირებულია მცირე

მეწარმეებისათვის ფიქსირებული გადასახადის შემოღების იდეა³. მისი სწორად გათვლისა და დაბეგვრის ეფექტიანი სისტემის შემოღების პირობებში, შესაძლებელია მან მნიშვნელოვნად ასტიმულიროს მცირე ბიზნესის განვითარება.

მეწარმეთა ნახევარზე მეტისათვის (55%) უმნიშვნელოვანესია *ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა* და ეს ბუნებრივივითაა, ვინაიდან არასტაბილურ გარემოში ბიზნესს ყველაზე მეტად უჭირს არსებობა და განვითარება.

მეორე პოზიციაზე (გამოკითხულ მეწარმეთა 31%) დასახელდა *ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერის საჭიროება*, რაც გულისხმობს მომუშავეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გადამზადების პროგრამების შემუშავება/რეალიზაციას სახელმწიფოსა თუ დონორი ორგანიზაციების მხრიდან. მართალია, ამ სფეროში ადგილობრივი მმართველობის ორგანოები (მაგალითად, ქ. თბილისის მერია) და დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ ადამიანური რესურსების განვითარების მხარდამჭერ პროექტებს, მაგრამ ეს, უმეტეს შემთხვევაში, ზოგადი უნარების (კომპიუტერი, უცხო ენა) განვითარებას უწყობს ხელს, ანდა მცირე მასშტაბისაა. პროფესიული სწავლების მიზნობრივი პროგრამები ზრდასრული მოსახლეობისათვის, ჯერ-ჯერობით, ნაკლებად ხელმისაწვდომია. ეს აიძულებს მეწარმეებს, პროფესიული სწავლება ძირითადად სამუშაო ადგილზე განახორციელონ (ამ თემაზე დეტალურად იხ. მომდევნო პარაგრაფში).

ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მეწარმეთა შემდეგი რეკომენდაციები: *თავისუფალი კონკურენტული გარემოს არსებობა, ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა (გამოკითხულთა 22%); სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევისა და ზეწოლის დაუშვებლობა (20%); ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობა (17%)*. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტორები კონკრეტულ ხელშემშლელ გარემოებებზე მეწარმეების მხოლოდ

³ საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2011 წლის 20 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით, კოდექსს დაემატა 95¹ – 95⁶ მუხლები, რომლებითაც განისაზღვრა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის დეფინიცია, ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გადასახადის განაკვეთი და სხვ., მაგრამ ამ ნორმების ამოქმედებისათვის საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს საქმიანობის ის სახეები, რომლებზეც გაერცვლდება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის პრაქტიკა. 2012 წლის თებერვლის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობას ასეთი სახეობების ნუსხა, ჯერ-ჯერობით, არ განუსაზღვრავს.

მცირე ნაწილმა დაასახელა, თუმცა ზოგად კონტექსტში მათ უფრო თამამად მიუთითეს მსგავსი პრობლემების დაძლევის საჭიროებაზე.

იქედან გამომდინარე, რომ მეწარმეები საქმიანობის ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებენ შიდა ბაზრის შეზღუდულობას, მათთვის ფასეული რეკომენდაციაა *გასაღებისათვის ახალი ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში დახმარება* (გამოკითხულთა 17%).

საქართველოში ბიზნესის დაწყების პირობების გამარტივების აღიარებაა ის ფაქტი, რომ გამოკითხული მეწარმეების მხოლოდ მცირე ნაწილი (გამოკითხულთა 4%) იძლევა რეკომენდაციას ბიზნესის რეგისტრაციის პირობებისა და პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით. შედარებით მეტი მეწარმე (გამოკითხულთა 7%) ითხოვს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის პირობების კიდევ უფრო გამარტივებას.

გამოკითხული მეწარმეების 8%-მა ერთ-ერთ რეკომენდაციად *შრომის კანონმდებლობის სრულყოფა* დაასახელა. ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ამ რეკომენდაციაში ისინი გულისხმობენ საკანონმდებლო ნორმების უფრო დეტალურად გაწერას, რათა ნაკლები საფუძველი იყოს შრომითი დავებისათვის. კერძოდ, ეს ეხება ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადების პირობებს, სამუშაო დროის ხანგრძლივობას, საზეგანაკვეთო სამუშაოებს, სასწავლო და მორიგი შევებულების მიცემის წესებს, შრომითი კონტრაქტის შეჩერებისას სამუშაო ადგილის შენარჩუნების პირობებს, მომუშავეს მხრიდან ზარალის ანაზღაურების წესს, შრომის მძიმე და მავნე პირობებში შეღავათების სისტემას და სხვ.


ამრიგად, საკვლევ რეგიონებში ბიზნესის განვითარების ტენდენციების შესწავლით მთლიანობაში დადებითი ტენდენციები დაფისირდა, თუმცა ბიზნეს-გარემოს შემდგომი სრულყოფისათვის მიზანშეწონილია მეწარმეთა მხრიდან შემოთავაზებული რეკომენდაციების შეძლებისდაგვარად გათვალისწინება.

2.3. ადამიანური რესურსები

ბიზნესის განვითარების ტენდენციები გარკვეულწილად აისახა *დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებაზე*. კვლევის შედეგებით, საწარმოთა 47%-მა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაზარდა მომუშავეთა რაოდენობა, თუმცა მათ


უმრავლესობაში ზრდა 1-5 კაციტ შემოიფარგლა; მომუშავეთა რაოდენობა 6-დან 20 კაცამდე გაზარდა მეწარმეთა 12%-მა, 21-დან 50 კაცამდე – 4%-მა, ხოლო 50-ზე მეტი კაციტ – მხოლოდ 3%-მა. გამოკვლეული საწარმოებიდან 36%-ს მომუშავეთა რაოდენობა არ შეუცვლია, ხოლო 17%-მა მათი რაოდენობა შეამცირა (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7




რეგიონების მიხედვით, მომუშავეთა რაოდენობა წილობრივად უფრო მეტმა საწარმომ გაზარდა სამეგრელოში, თუმცა ამავე რეგიონში მეტია ისეთ საწარმოთა წილიც, სადაც მომუშავეთა რაოდენობა ბოლო 1 წლის განმავლობაში შემცირდა (იხ. დიაგრამა 8). მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების თვალსაზრისით, სტაგნაციის მეტი ხარისხი დაფიქსირდა ქვემო ქართლში, იმერეთში, ქ თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში.

დიაგრამა 8



მომუშავეთა მოზიდვას დამსაქმებლები ძირითადად ახდენენ *პირადი კონტაქტებითა და რეკომენდაციით*, ასევე საკუთარი მომუშავეების მეშვეობით (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9



ინტერნეტს, როგორც კადრების მოზიდვის საშუალებას, იყენებს გამოკითხული დამსაქმებლების 1/4-ზე მეტი; *ბეჭდური მედიისა და ტელევიზიის საშუალებით განცხადებებს* აქვეყნებს დამსაქმებელთა 21%; დასაქმების კერძო სააგენტოების მომსახურებით სარგებლობს 5%; დასაქმების სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით (რომლებსაც პერიოდულად ახორციელებს ცენტრალური და

ადგილობრივი ხელისუფლება) კადრები მოიძია დამსაქმებელთა დაახლოებით 4%-მა; პროფილურ სასწავლებლებთან კონტაქტის გზით მომუშავეების მოზიდვას ახდენს გამოკითხული მეწარმეების 9%. მათი უმრავლესობა დაზღვევის, საფინანსო შუამავლობის, ჯანდაცვის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში საქმიანობს.

სპეციალურ საჯარო კონკურსს, როგორც კადრების მოზიდვის ძირითად საშუალებას, იყენებს გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 2%. რა თქმა უნდა, კადრების მოზიდვის ყველა ფორმის გამოყენებისას, მომუშავეთა შერჩევა ძირითადად კონკურსის პრინციპით ხდება, თუმცა საჯარო კონკურსის ორგანიზაციული ფორმა მას შედარებით იშვიათად ეძლევა. კვლევები ადასტურებს, რომ კადრების მოზიდვისას პირადი კონტაქტებისა და რეკომენდაციების გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, ზეპირი რეკომენდაციის დატვირთვას ატარებს და გამართლებული ფორმას, თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ საქართველოში კადრების შერჩევისას პირადი ნაცნობობა, არც თუ იშვიათად, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება.

აღსანიშნავია, რომ კადრების მოზიდვის მსგავსი შედეგები IOM-ის მიერ ჩატარებულ ყველა წინა კვლევითაც დასტურდება. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საქართველოში განუვითარებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა, არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური⁴, განუვითარებელია დასაქმების კერძო სააგენტოების სისტემა, დაბალია მოსახლეობის ინტერნეტიზაციის მაჩვენებელი (განსაკუთრებით მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქებსა და სოფლებში). ეს უკანასკნელი რეგიონების მიხედვით კადრების მოზიდვის გზების განაწილებაშიც აისახა. კერძოდ, ინტერნეტს, როგორც საჭირო კადრების მოზიდვის საშუალებას ქ. თბილისის დამსაქმებლები 3-4-ჯერ უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე სხვა რეგიონებში (იხ. ცხრილი 2.3.1).

ცხრილი 2.3.1. კადრების მოზიდვის გზები რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	კადრების მოზიდვის გზები	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	დასაქმების კერძო სააგენტო	5	4	4	3

⁴ გამონაკლისია აჭარის არ, სადაც, IOM-ის „კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრის ბაზაზე, 2011 წლის ოქტომბერში შეიქმნა „დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“, ასევე ქ. თბილისის მერიის დასაქმების პროექტის ფარგლებში შექმნილია სპეციალური განყოფილება.


2	დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით*	4	5	3	1
3	რეკლამის (განცხადების) საშუალებებით	21	23	22	14
4	საკუთარი მომუშავეების მეშვეობით	33	24	27	30
5	ინტერნეტის დახმარებით	33	14	8	8
6	პირადი კონტაქტებითა და რეკომენდაციებით	71	73	78	77
7	სასწავლო დაწესებულებებიდან	10	12	5	7
8	კონკურსის წესით	1	2	1	3
	სულ**	178	157	151	143

* მხედველობაშია სახელმწიფო პროგრამები „სამუშაო ადგილზე პროფესიული სწავლება“, რომლებიც 2007 და 2008 წლებში განხორციელდა, ასევე სტუდენტთა დასაქმების პროგრამები და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დასაქმების მხარდამჭერი ცალკეული ღონისძიებები.

** შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

საჭირო კადრების მოზიდვისას პრობლემები აქვთ გამოკითხული მეწარმეების 51%-ს. მათგან პრობლემები სისტემატურად აწუხებს 14%-ს, ხოლო 37%-ს – პერიოდულად და იშვიათად (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10



პრობლემების ინტენსივობა მატულობს *საწარმოთა ზომის მიხედვით*: რაც უფრო დიდია საწარმო, მით უფრო მეტია ისეთი საწარმოების წილი, რომლებსაც უჭირთ საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების


მოძიება. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მცირე ზომის საწარმოების მოთხოვნა კადრებზე შეზღუდულია როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურის თვალსაზრისით. გამოკითხვის შედეგებით, საშუალო და მსხვილ საწარმოებს კადრების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები 2-3-ჯერ უფრო ხშირად აწუხებთ, ვიდრე მცირე ზომის საწარმოებს.

კადრების მოზიდვის პრობლემა საქმიანობის სფეროების მიხედვითაც განსხვავებული აქტუალობისაა. კვლევის შედეგებით, საჭირო კადრების მოძიება ყველაზე ხშირად უჭირთ შემდეგი სფეროების მეწარმეებს:

- ✓ დაზღვევა – გამოკითხულ მეწარმეთა 81%;
- ✓ კომუნალური მეურნეობა – 72%;
- ✓ ავტომობილების, საყოფაცხოვრებო და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი – 71%;
- ✓ კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა – 60%;
- ✓ კვლევები და დამუშავებები – 60%;
- ✓ დამამუშავებელი მრეწველობა – 58%;
- ✓ ელექტრო ენერჯის, აირისა და წყალ-მომარაგება – 57%;
- ✓ კავშირგაბმულობა – 57%.


მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოზიდვაც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია, მოიცავს როგორც კვალიფიციურ მუშებს, ისე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს (იხ. დიაგრამა 11). რთულად მოსაზიდი კადრების 54% კვალიფიციურ მუშებს მიეკუთვნება, 42% – უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს, ხოლო 4% – არაკვალიფიციურ მომუშავეებს. არაკვალიფიციური კადრების მოზიდვა დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია იმის გამო, რომ ასეთი ტიპის სამუშაოებზე, როგორც წესი, დაბალია ხელფასი და შრომის მძიმე პირობებია.

დიაგრამა 11



გამოკვლეული რეგიონებიდან კადრების მოზიდვის პრობლემები უფრო მწვავედ დგას ქვემო ქართლსა და სამეგრელოში, თუმცა სხვა რეგიონებშიც არანაკლებ აქტუალურია (იხ. დიაგრამა 12).


დიაგრამა 12



ოთხივე რეგიონში რთულად მოსაზიდი კადრების აბსოლუტური უმრავლესობა კვალიფიციურ მუშათა კატეგორიას მიეკუთვნება. მათი დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა ქვემო ქართლში. უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტად ჭირს სამეგრელოსა და იმერეთში. ორივე კატეგორიის

მომუშავეთა მოზიდვის პრობლემაზე მიუთითებს ასევე ქ. ქუთაისისა და ქ. თბილისის მეწარმეებმა (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13.



კონკრეტული პროფესიებისა და სპეციალობების ჩამონათვალი, რომელთა მოძიებაც დამსაქმებლებისათვის (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის) პრობლემატურია, 300-ს აღემატება (რეგიონების მიხედვით პროფესიების დეტალური ჩამონათვალი იხ. დანართში №1). თუ მათ დავაჯგუფებთ „განათლების სტანდარტული კლასიფიკაციით (ISCED-1997)“ განსაზღვრული სფეროების მიხედვით, დეფიციტურობის ხარისხით პირველი 10 სფერო შემდეგნაირად დალაგდება:

უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები:

- I. ჯანდაცვა – 20,1%;
- II. ბიზნესი და მართვა – 19,6%;
- III. განათლება – 17,6%;
- IV. ინჟინერია და საინჟინრო საქმე – 7,3%;
- V. საწარმოო და დამამუშავებელი დარგები – 6,6%;
- VI. არქიტექტურა და მშენებლობა – 6,1%;
- VII. სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები – 5,9%;
- VIII. ხელოვნება, კულტურა, სპორტი – 3,6%;
- IX. კომპიუტერული საქმე – 2,5%;
- X. ჟურნალისტიკა და ინფორმაცია – 1,9%.

პროფესიული განათლების (სახელობო პროფესიის) კადრები:

- I. ინჟინერია – 14,1%;
- II. სამთო მოპოვება და დამამუშავებელი მრეწველობა – 12,7%;
- III. მომსახურება – 11,1%;
- IV. ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო საქმე – 9,8%;
- V. ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება – 9,1%;
- VI. მშენებლობა – 7,4%;
- VII. ინფორმაციული ტექნოლოგიები – 5,0%;
- VIII. მედიცინა – 3,7%;
- IX. ხელოვნება, სპორტი – 1,3%;
- X. აგრარული სექტორი – 1,0%;

რეგიონების მიხედვით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიული ჯგუფები (პირველი 10 ჯგუფი), განათლების სფეროებისა და დეფიციტურობის ხარისხის გათვალისწინებით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 2.32. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიული ჯგუფები განათლების სფეროებისა და დეფიციტურობის მიხედვით

<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>		<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	
1	განათლება	1	ჯანდაცვა
2	ბიზნესი და მართვა	2	ბიზნესი და მართვა
3	ჯანდაცვა	3	ინჟინერია და საინჟინრო საქმე
4	ინჟინერია და საინჟინრო საქმე	4	განათლება
5	საწარმოო და დამამუშავებელი დარგები	5	სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები
6	არქიტექტურა და მშენებლობა	6	არქიტექტურა და მშენებლობა
7	სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები	7	საწარმოო და დამამუშავებელი
8	ხელოვნება, კულტურა, სპორტი	8	ხელოვნება, კულტურა, სპორტი
9	კომპიუტერული საქმე	9	ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
10	ფიზიკური მეცნიერებები	10	სამართალი
<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>		<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>	
1	ჯანდაცვა	1	ჯანდაცვა
2	ბიზნესი და მართვა	2	ბიზნესი და მართვა

⁵ პროფესიული განათლების სფეროების მოტანილი დაჯგუფება ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყენებულ კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციით, მომსახურების სფერო ვაჭრობასაც მოიცავს.

3	განათლება	3	საწარმოო და დამამუშავებელი
4	ხელოვნება, კულტურა, სპორტი	4	ინჟინერია და საინჟინრო საქმე
5	არქიტექტურა და მშენებლობა	5	არქიტექტურა და მშენებლობა
6	სოციალური და ბიპევიორისტული მეცნიერებები	6	სამართალი
7	ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	7	კომპიუტერული საქმე
8	საწარმოო და დამამუშავებელი	8	განათლება
9	ინჟინერია და საინჟინრო საქმე	9	სასოფლო, სატყეო მეურნეობა,
10	ტურიზმი და სასტუმრო-საქმე	10	ჰუმანიტარული მეცნიერებები

რაც შეეხება დეფიციტურ სახელობო პროფესიის კადრებს, მათი რანჟირება დეფიციტურობისა და განათლების სფეროების მიხედვით ცალკეულ რეგიონში შემდეგია:


ცხრილი 2.3.3. სახელობო პროფესიის კადრების პროფესიული ჯგუფები განათლების სფეროებისა და დეფიციტურობის მიხედვით

<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>		<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	
1	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი მრეწველობა	1	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი მრეწველობა
2	ინჟინერია;	2	ინჟინერია;
3	მომსახურება;	3	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება
4	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება	4	მომსახურება;
5	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება	5	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება
6	მშენებლობა;	6	მშენებლობა;
7	ინფორმაციული ტექნოლოგიები;	7	მედიცინა;
8	მედიცინა;	8	ინფორმაციული ტექნოლოგიები;
9	ხელოვნება, სპორტი.	9	ხელოვნება, სპორტი.
10	აგრარული სექტორი;	10	აგრარული სექტორი;
<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>		<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>	
1	ინჟინერია;	1	ინჟინერია;
2	მომსახურება;	2	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი მრეწველობა
3	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება	3	მომსახურება;

4	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება	4	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება
5	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი მრეწველობა	5	მშენებლობა;
6	მშენებლობა;	6	ინფორმაციული ტექნოლოგიები;
7	ინფორმაციული ტექნოლოგიები;	7	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება
8	ხელოვნება, სპორტი.	8	ხელოვნება, სპორტი.
9	მედიცინა;	9	მედიცინა;
10	აგრარული სექტორი;	10	აგრარული სექტორი;

მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებს ვერ მოუძებნიათ მათთვის საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრი, სხვადასხვაა. გამოკითხვის შედეგებით, ამ მიზეზებს შორის დომინირებს პრაქტიკული გამოცდილებისა და შესაბამისი თეორიული ცოდნის ნაკლებობა (იხ. დიაგრამა 14). დამსაქმებელთა 13% კადრების მოუძიებლობის მთავარ მიზეზად ასახელებს იმ ფაქტს, რომ მისთვის საჭირო პროფესიის სპეციალისტები ქვეყანაში არ მზადდება; 10%-ის ინფორმაციით მოძიება პრობლემატურია იმის გამო, რომ რეგიონში არ ხდება მათი მომზადება ან არ უნდათ რაიონში (სოფლად) მუშაობა.

დიაგრამა 14



დამსაქმებელთა 4%-მა არ იცის, ვის მიმართოს საჭირო კადრების მოსაძიებლად; 11% კი აღიარებს, რომ კადრების მოუძიებლობის ძირითადი

მიზეზი მათ მიერ შეთავაზებული შრომის მძიმე პირობებია. ეს უკანასკნელი გარკვეულ კითხვებს ბაღებს დამსაქმებელთა პოზიციის მიმართ: თუ ისინი აცნობიერებენ, რომ მათ მიერ შეთავაზებული პირობები მძიმეა, მაშინ რატომ არ სთავაზობენ უკეთესს? ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ასეთი პოზიციის მიზეზი არის ბიზნესის დაბალი რენტაბელობა (მცირე შემოსავალი), რიგ შემთხვევებში კი – უმუშევართა დიდი რაოდენობა და იმის იმედი, რომ ვიღაც შეთავაზებულ მძიმე პირობებზეც იქნება თანახმა.

რეგიონების მიხედვით, საჭირო კადრების მოუძიებლობის მიზეზები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 2.3.4):

ცხრილი 2.3.4. საჭირო კადრების მოუძიებლობის მიზეზები რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

<i>მიზეზი</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
ქვეყანაში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება	17	5	6	10
რეგიონში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება	3	20	21	22
არა აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა	24	16	15	20
არა აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება	40	40	35	29
არ იცის, ვის მივმართოს საჭირო კადრების მოსაძიებლად	3	4	6	6
არ არიან თანახმა იმუშაონ იმ პირობებზე, რომელსაც დამსაქმებელი სთავაზობს	11	12	12	12
არ უნდათ რაიონში მუშაობა	2	2	7	2
სულ	100	100	100	100

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ყველა რეგიონში საჭირო კადრების მოუძიებლობის მიზეზთა შორის მთავარია *კანდიდატების პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და თეორიული ცოდნით დამსაქმებელთა უკმაყოფილება*. ქ. თბილისში კადრებზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის გარემოება, რომ დეფიციტურ პროფესიათა შორის ბევრია ისეთი, რომელთა მომზადება ქვეყანის საგანათმანათლებლო დაწესებულებებში არ ხდება. ასეთ პროფესიებს შორის დასახელდა: ხარატი, ზეინკალი, მდარავი, მცხობელი, გაყიდვების მენეჯერი, პრესელერი, ინკლუზიური განათლების

სპეციალისტი, ანიმატორი, IT ტექნოლოგიების (სპეციალური პროგრამების) სპეციალისტი, კვების ტექნოლოგიები (ლუდის, წყლის, ნაყინის და სხვ. წარმოება) და ტექნიკოსები, ანდერეიტერი, დანადგარების ელექტრო მექანიკოსი, ავტო დიაგნოსტიკის სპეციალისტი, რენდგენოლოგი, ავია ბილეთების რეზერვაციის სპეციალისტი, ავია ტექნიკოსი და სხვ. დამსაქმებელთა ნაწილმა ასეთ პროფესიათა შორის დაასახელა ისეთი სპეციალობებიც, რომლებიც ქვეყანაში მზადდება, მაგრამ როგორც ჩანს, მათ არ აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია (მაგალითად, პოლიგრაფისტი, გამყიდვე-კონსულტანტი, კონდიტერი და სხვ). ეს უკანასკნელი მიანიშნებს მოსამზადებელი კადრების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და დამსაქმებლებთან სასწავლო დაწესებულებების ურთიერთობის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

პროფესიული კადრების მომზადების თვალსაზრისით კიდევ უფრო მიიმე მდგომარეობაა ქ. თბილისს გარეთ რეგიონებში. კერძოდ, ყველა დანარჩენ რეგიონში დამსაქმებლებმა 7-ჯერ უფრო ხშირად დაასახელეს მიზეზი, რომ საჭირო პროფესიის კადრები მათი რეგიონის სასწავლო დაწესებულებებში არ მზადდება. ასეთ პროფესიებს შორის დასახელდა:

- ✓ იმერეთში – ხარატი, მხარხავი, ელექტრო-მექანიკოსი, პოლიგრაფისტი, ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურის შემკეთებელი, მეწაღე/ხარაზი, ბარმენი, მასაჟისტი, ბალნეოლოგი, ფარმაცევტი, საწარმოო დანადგარების ტექნიკოსი, სამშენებლო ფილების მეყალიბე/ჩამომსხმელი, გათბობა/კონდიციონერების სპეციალისტი, ელექტრო-ზეინკალი, მჭედელი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სხვადასხვა სპეციალობის ექიმი, პროგრამისტი, კადრების მენეჯერი და სხვ. მართალია, რიგი სპეციალობის კადრები (მაგალითად, მზარეული/კულინარი, კონდიტერი, მიმტანი და სხვ.) რეგიონში, კერძოდ, ქ. ქუთაისის პროფესიულ კოლეჯ „იბერიაში“ მზადდება, მაგრამ, როგორც ჩანს, რეგიონის სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის დამსაქმებლებისათვის ეს უცნობია, ანდა ამ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობისათვის ტერიტორიულად და ფინანსურად ხელმიუწვდომელია.
- ✓ სამეგრელოში – ელექტრო შემდუღებელი, ელექტრო მექანიკოსი, მიმტანი, ბარმენი, პარიკმახერი/სტილისტი, მანიკურისა და პედიკურის

სპეციალისტი, მასაჟისტი, მზარეული, კონდიტერი, ტელეოპერატორი, პოლიგრაფისტი, პროგრამისტი, კავშირგაბმულობის ტექნიკოსი, ელექტრიკოსი, დოკერი, გემის მექანიკოსი, ავტო-დიაგნოსტიკოსი, ავტო-ელექტრიკოსი, იუველირი და სხვ.


- ✓ ქვემო ქართლში: ელექტრო შემდუღებელი, მეტალურგი, კვების მრეწველობის დანადგარების მექანიკოსი, ელექტრიკოსი, ელექტრო ზეინკალი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიკოსი, ზეინკალი, ხიდურა ამწეკრანის მემენქანე, ქვის დამამუშავებელი, გაზის დანადგარების ოპერატორი, ცეცხლფარეში, მზარეული, კონდიტერი, ბარმენი, მიმტანი და სხვ.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ დისბალანსს და პროფესიული განათლების გეოგრაფიულ ხელმიუწვდომლობის პრობლემას. კადრების მოუძიებლობის სხვა მიზეზები (პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ხარისხით უკმაყოფილება, საშუაშაველო სერვის-ცენტრების არარსებობა და სხვ.) ყველა ტერიტორიულ ერთეულში თითქმის თანაბრად დასახელდა (იხ. ცხრილი 2.3.4).

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ასევე **დამსაქმებლების კმაყოფილების ხარისხი საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციით**. დადგინდა, რომ დამსაქმებლების აბსოლუტური უმრავლესობა (გამოკითხულთ 64%) საკვებით კმაყოფილია მომუშავეთა კვალიფიკაციით, 35% ნაწილობრივ არის კმაყოფილი და მხოლოდ 1% არის სრულიად უკმაყოფილო. მომუშავეთა კვალიფიკაციით კმაყოფილება უფრო მეტად გამოხატეს ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის მეწარმეებმა; ნაწილობრივ უკმაყოფილოთა წილი მაღალია სამეგრელოში (იხ. დიაგრამა 15). საგულისხმოა ის გარემოება, რომ კითხვაზე: „შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, თქვენს თანამშრომლებს რაში გადაამზადებდით ან აუმაღლებდით კვალიფიკაციას?“ – კონკრეტული დადებითი პასუხი გასცა გამოკითხული მეწარმეების 75%-მა. ჩვენის აზრით, ეს მაჩვენებელი უფრო ზუსტად ასახავს მომუშავეების კვალიფიკაციით დამსაქმებელთა კმაყოფილების ხარისხს და ადასტურებს ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებას.

დიაგრამა 15

მომუშავეთა კვალიფიკაციის შესაბამისობა მეწარმეების მოთხოვნებთან, რეგიონების მიხედვით, %



კონკრეტული პროფესიებისა და სპეციალობების, ასევე ცოდნის სფეროების ჩამონათვალი, რაშიც დამსაქმებლები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, თავის მომუშავეებს გადაამზადებდნენ, ან აუმაღლებდნენ კვალიფიკაციას, ძალიან ფართოა და მოიცავს 500-ზე მეტ დასახელებას. გამოკვლეული რეგიონების მიხედვით, რაოდენობრივად ყველზე ხშირად დასახელებული პროფესიების, სპეციალობებისა და უნარების ნუსხა (პირველი ათეული) შემდეგია:

- ✓ ქ. თბილისი და შემოგარენი: პედაგოგები (განსაკუთრებით, უცხო ენის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ქართული ენის, დაწყებითი განათლების, ისტორიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ზოგადი უნარების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინკლუზიური განათლების და სხვ.), გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯმენტი, IT ტექნოლოგიები, ბუღალტერია, უცხო ენა (პირველ რიგში, ინგლისური), მომსახურების კულტურა (ამ უნარების განვითარებას ითხოვს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს დამსაქმებელთა უმრავლესობა), კულინარია, მიმტანი, პარიკმახერი/სტილისტი, საფინანსო მენეჯმენტი.
- ✓ ქ. ქუთაისი და შემოგარენი: IT ტექნოლოგიები, ბუღალტერია, პედაგოგები (განსაკუთრებით, ინგლისური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ზოგადი უნარების, ბიოლოგიის, ქართული ენის, რუსული ენის, ინკლუზიური განათლების, დაწყებითი განათლების და სხვ.), კულინარია, მიმტანი, უცხო ენა (პირველ რიგში, ინგლისური), ექთანი/მედდა,


ელექტრო შემდუღებელი, ექოსკოპისტ/ენდოსკოპისტი, კვების ტექნოლოგია (პურპროდუქტების, ხორცპროდუქტების, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ნაყინის, რძის პროდუქტების, ღვინის).

- ✓ ქ. ზუგდიდი და შემოგარენი: უცხო ენა (პირველ რიგში, ინგლისური), პედაგოგები (განსაკუთრებით, ინგლისური ენის, ზოგადი უნარების, ფიზიკის, ბიოლოგიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ხელოვნების, სახელობო პროფესიების პედაგოგების და სხვ.), IT ტექნოლოგიები, ბუღალტერია, პარიკმახერი/სტილისტი, კულინარია, მომსახურების კულტურა, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯმენტი, მიმტანი, ავტოშემკეთებელი.
- ✓ ქ. რუსთავი და შემოგარენი: ბუღალტერია, ზეინკალი/ხარატი, პედაგოგები (განსაკუთრებით, ინგლისური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ზოგადი უნარების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, დაწყებითი განათლების, სახელობო პროფესიების პედაგოგების და სხვ.), კულინარია, ელექტრო შემდუღებელი, ავეჯის ხელოსანი, ავტოშემკეთებელი, IT ტექნოლოგიები, ექთანი/მედედა, კვების ტექნოლოგია (ლუდუს, ხორცპროდუქტების).

ყველა რეგიონში დიდია მოთხოვნა უცხო ენის, კომპიუტერის უნარ-ჩვევების სწავლებაზე, ასევე სამედიცინო პროფილის სპეციალისტებისათვის თანამედროვე ტექნიკა/ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებაზე.


გამოკითხვის შედეგებით, დამსაქმებელთა უმრავლესობას გააზრებული აქვს საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ პროფესიული გადამზადების საჭიროება, თუმცა *კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს სისტემატურად ატარებს გამოკითხული დამსაქმებლების (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებების) მხოლოდ 30%* და საერთოდ არ ახორციელებს დამსაქმებელთა 20% (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16



იმ დამსაქმებლების წილი, რომლებიც არ ზრუნავენ საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მეტია ქ. თბილისსა და მის შემოგარენში, ასევე ქვემო ქართლში (იხ. დიაგრამა 17).

დიაგრამა 17



მიზეზები, რის გამოც დამსაქმებლები არ მიმართავენ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, მრავალფეროვანია. მათგან ყველა რეგიონში დომინირებს ფინანსების ნაკლებობა, თუმცა ეს მიზეზი

განსაკუთრებით დომინანტია ქვემო ქართლში (იხ. ცხრილი 2.3.5). ქ. თბილისთან შედარებით, რეგიონებში უფრო მწვავედ დგას შესაბამისი პროვაიდერებისა და ინსტრუქტორების მოძიების პრობლემა; სათანადო სახელმძღვანელოებისა და მასალების დეფიციტს უფრო ხშირად უჩივიან ქ. თბილისში, ვინაიდან აქ მეტია მოთხოვნა ისეთი პროფესიის კადრებზე, რომელთა მომზადებაც ქვეყანაში არ ხდება, ანდა დამსაქმებლებს არ აკმაყოფილებთ კადრების მომზადების ხარისხი ინოვაციების ცოდნის კუთხით.

ცხრილი 2.3.5. მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში არსებული სირთულეები რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	<i>სირთულეები</i>	<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	ფინანსების ნაკლებობა	38	34	45	43	60
2	შესაბამისი ინსტრუქტორებს მოძიების სირთულე	14	13	17	20	15
3	ტრენინგის (სწავლების) ანალიზის სირთულე	2	2	3	5	4
4	პერსონალის მხრიდან სურვილის არარსებობა	8	7	9	9	10
5	სწავლების დაბალი ხარისხი (დაბალი ეფექტიანობა)	3	4	3	4	1
6	სწავლების ჩატარებისათვის დროის უქონლობა	15	15	17	12	10
7	სწავლება არ არის საჭირო	10	12	5	10	3
8	სათანადო სახელმძღვანელოებისა და მასალების არქონა	12	15	8	5	5
	სულ*	102	102	107	108	108


* შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

საგულისხმოა, რომ *გამოკითხული დამსაქმებლების 10% მომუშავეთა სწავლებას საჭიროდ არ მიიჩნევენ*. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ დამსაქმებლების ნაწილი სავსებით კმაყოფილია საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციით, ხოლო ნაწილი, შესასრულებელი სამუშაოს სიმარტივიდან გამომდინარე, სწავლების საჭიროებას ვერ ხედავს.

მომუშავეთა სწავლებისათვის ფინანსების ნაკლებობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში *მომუშავეთა პროფესიული ზრდის მთავარი გზა არის*

სამუშაო ადგილზე სწავლება (იხ. დიაგრამა 18). იმ მეწარმეებიდან, ვინც ზრუნავენ მომუშავეთა პროფესიული სწავლებაზე, 62% ამის ორგანიზებას ახდენს სამუშაო ადგილზე სწავლების ფორმით⁶, 20% იყენებს სხვადასხვა სახის ტრენინგ-ცენტრების მომსახურებას, 8% – საკუთარ სასწავლო ცენტრებში ახორციელებს სწავლებას (ასეთი დამსაქმებლები ძირითადად წარმოდგენილია სამთო მრეწველობის, ელექტრო ენერჯის, აირ და წყალ-მომარაგების, კავშირგაბმულობისა და სახელმწიფო მართვის სფეროებში).

დიაგრამა 18



გამოკვლეული რეგიონებიდან სამუშაო ადგილზე სწავლების ფორმა ყველაზე ხშირად გამოიყენება სამეგრელოში; სასწავლო ცენტრები და უცხოეთში სტაჟირება კი უფრო ხელმისაწვდომია ქ. თბილისის დამსაქმებლებისათვის; დონორი ორგანიზაციების დახმარება იმერეთისა და სამეგრელოს დამსაქმებლებისათვის უფრო საგრძნობია (იხ. ცხრილი 2.3.6).

ცხრილი 2.3.6. მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზები რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

	კვალიფიკაციის ამაღლების გზები	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	სამუშაო ადგილზე	61	62	72	60

⁶ გამოკითხული დამსაქმებლების ნაწილი მზადაა, სათანადო დაფინანსების პირობებში, მთელი რიგი პროფესიის კადრების პროფესიული მომზადება საკუთარ საწარმოში სხვა დამსაქმებლებისთვისაც განახორციელოს. კვლევის შედეგად მოპოვებულია ინფორმაცია კონკრეტულ საწარმოებსა და დაწესებულებებში კადრების პროფესიული მომზადების შესაძლებლობების შესახებ.

2	საკუთარ სასწავლო ცენტრში	8	8	7	3
3	პროფესიულ სასწავლო ცენტრებში	21	20	16	15
4	უცხოეთში სტაჟირებით	13	4	1	5
5	დონორი ორგანიზაციების დახმარებით	5	10	8	3
6	მოწვეული ტრენერების მეშვეობით	2	1	1	4
7	სხვა	1	–	–	–
8	არ უპასუხა	–	–	–	12
	სულ*	111	105	105	102

* შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ამრიგად, გამოკვლეულ რეგიონებში მეწარმეებისა და სახელმწიფო დაწესებულებების დამსაქმებლებისათვის საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის მომუშავეთა მოზიდვა. ეს მიანიშნებს პროფესიული სწავლების შრომის ბაზარზე ორიენტაციის გაძლიერებისა და კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. ამ ამოცანების მისაღწევად პირველი ნაბიჯია სამუშაო ძალაზე პერსპექტიული მოთხოვნის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა პროფესიის კადრებზე იქნება მოთხოვნა.

2.4. სამუშაო ძალაზე პერსპექტიული მოთხოვნა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში საქართველოს ოთხ რეგიონში შესწავლილი იქნა საქმიანობის ყველა სფეროში მოღვაწე დამსაქმებლების (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის) მოთხოვნა სამუშაო ძალაზე უახლოესი ერთი და 2-3 წლის მანძილზე.⁷

გამოკითხვის შედეგებით, დამსაქმებელთა 44% უახლოესი 6 თვის განმავლობაში გეგმავს მომუშავეთა რაოდენობის გაზრდას: მათგან 15% მნიშვნელოვნად, ხოლო 29% – უმნიშვნელოდ. მომუშავეთა რაოდენობის

⁷ რა თქმა უნდა, პროფესიული სწავლების ორგანიზებისათვის აუცილებელია სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, მაგრამ კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებული არასტაბილური ეკონომიკური ვითარების გამო, დამსაქმებლებს უჭირთ ხანგრძლივ პერიოდზე პროგნოზირება და უბრალოდ, არ პასუხობენ მსგავს კითხვებს.


ზრდას, სხვა რეგიონებთან შედარებით, იმერეთის დამსაქმებელთა უფრო მეტი ნაწილი გეგმავს (იხ. ცხრილი 2.4.1)

ცხრილი 2.4.1. მომუშავეთა რაოდენობის დაგეგმილი ცვლილება უახლოესი 1 წლის განმავლობაში რეგიონების მიხედვით, გამოკითხვის შედეგებით, %

		სულ	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	იგეგმება მნიშვნელოვანი ზრდა	15	14	19	14	16
2	იგეგმება უმნიშვნელო ზრდა	29	28	34	33	23
3	იგეგმება მნიშვნელოვანი შემცირება	2	2	3	1	3
4	იგეგმება უმნიშვნელო შემცირება	4	4	4	2	5
5	ცვლილებები არ არის დაგეგმილი	38	40	32	39	32
6	არ ვიცი	9	10	7	8	12
7	არ უპასუხა	2	2	1	3	7
	სულ	100	100	100	100	100

ცნობილია, რომ დამსაქმებლებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა აქვთ არა მხოლოდ საქმიანობის გაფართოების შემთხვევაში, არამედ მიმდინარე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ასევე მომუშავეთა სტრუქტურის შეცვლისას, კადრების დენადობისა თუ სხვა ფაქტორთა გავლენით. აქედან გამომდინარე, **პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით მოთხოვნა დააკონკრეტა გამოკითხული დამსაქმებლების 90,2%-მა**, რაც პროგნოზული გათვლებისათვის საიმედო მახვენებელია.

კითხვაზე: **„უახლოესი ერთი წლის განმავლობაში რა პროფესიის (სპეციალობის) მომუშავეები შეიძლება დაგჭირდეთ?“** – დამსაქმებლებმა 500-მდე პროფესია და სპეციალობა დაასახელეს (მათი ჩამონათვალი, რანჟირებული მომუშავეთა სავარაუდო რაოდენობის მიხედვით, მოცემულია №2 დანართში). გამომდინარე იქედან, რომ ყველა გამოკვლეულ რეგიონში უფრო დეფიციტურად დასახელდა კვალიფიციური მუშათა კადრები, უახლოესი 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელ მოთხოვნაში სწორედ ეს კატეგორია დომინირებს (იხ. დიაგრამა 19).



იმის გამო, რომ ქ. თბილისში მეტი რაოდენობის საწარმო და ორგანიზაცია ფუნქციონირებს, ბუნებრივია, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დიდი წილი დედაქალაქზე მოდის: საერთო მოთხოვნის – 67,5%; უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნის – 70,1%; კვალიფიციურ მუშათა კადრებზე მოთხოვნის – 65,1% და არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის – 68,3%. გამოკვლეული რეგიონებიდან მეორე ადგილზეა იმერეთი (შესაბამისად, საერთო მოთხოვნის 16,7%; 16,2%; 17,3% და 16,8%), მესამე ადგილზე ქვემო ქართლი (საერთო მოთხოვნის 8,6%; 7,3%; 9,7% და 9,6%), მეოთხეზე – სამეგრელო (საერთო მოთხოვნის 7,2%; 6,4%, 8,0% და 5,4%).

უახლოესი 1 წლის მანძილზე პროფესიული განათლების (სახელობო, კვალიფიციური მუშების) კადრებზე მოთხოვნა განათლების სფეროებისა და რეგიონების მიხედვით, შემდეგნაირად იქნა რანჟირებული:

ცხრილი 3.4.1. მოთხოვნა პროფესიული განათლების კადრებზე უახლოესი 1 წლის მანძილზე, განათლების სფეროს მიხედვით, %

	სფერო	სულ	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	მომსახურება	19.4	21.7	13.6	20.2	14
2	ინჟინერია	13	11.2	14.1	12.7	23.3
3	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი დარგები	12.9	11.8	15.4	10.4	17.7

4	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება	12.8	13.9	11.2	13.9	7
5	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო საქმე	12.5	12.7	13.3	11.6	10.2
6	მშენებლობა	9.6	8.8	10.4	10.4	13
7	ხელოვნება, სპორტი	8.9	8.7	8.4	8.7	10.2
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5.6	5.6	6.5	7.5	2.8
9	მედიცინა	3.6	3.9	4.4	2.9	1.4
10	აგრარული სექტორი	1.3	1.2	2.4	1.2	0.4
11	ფინანსები	0.4	0.5	0.3	0.5	–
	სულ	100	100	100	100	100

განათლების სფეროების მიხედვით დაჯგუფებული უმაღლესი განათლების პროფესიები, მოთხოვნილი კადრების რაოდენობისა და წილის მიხედვით, შექმნილია განლაგდა:

ცხრილი 2.4.2. მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე შახლოუსი 1 წლის მანძილზე, განათლების სფეროს მიხედვით, %

	სფერო	სულ	ქ. თბილისი და შემოგარენი	ქ. ქუთაისი და შემოგარენი	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	ქ. რუსთავი და შემოგარენი
1	ბიზნესი და მართვა	23.8	26.7	18.6	18.9	11.5
2	ჯანდაცვა	21.1	14.8	38.5	24.1	40.5
3	განათლება	17.1	20.5	8.2	17.2	3.8
4	ინჟინერია და საინჟინრო საქმე	6.3	6.5	6.5	4.3	5.3
5	არქიტექტურა და მშენებლობა	4.5	4.6	4.8	0.9	6.1
6	საწარმო და დამამუშავებელი დარგები	3.6	3.2	3.4	0.9	9.9
7	სამართალი	3.4	3.4	3.1	4.3	3.1
8	ხელოვნება, კულტურა, სპორტი	3.3	3.3	2.1	7.8	2.3
9	სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები	3.2	2.8	3.4	6	3.7
10	მათემატიკა და სტატისტიკა	2.2	2.4	1.7	2.6	1.5
11	ფიზიკური	2.1	2.5	0.7	1.7	2.3

	მეცნიერებები					
12	კომპიუტერული საქმე	2.1	2.4	0.7	0.9	3.1
13	ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	1.8	1.3	2.1	5.2	2.3
14	ჰუმანიტარული მეცნიერებები	1.7	1.4	2.1	3.4	1.5
15	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება	1.7	2.1	1.4	0.9	–
16	სასოფლო, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა	0.8	0.6	1.7	0.9	1.5
17	ვეტერინარია*	0.4	0.4	0.7	–	–
18	ტრანსპორტი	0.4	0.6	–	–	0.8
19	მეცნიერება სიცოცხლის შესახებ	0.3	0.4	–	–	–
20	აგროინჟინერია*	0.1	0.1	–	–	–
21	მომსახურების სფერო	0.1	–	0.3	–	0.8
	სულ	100	100	100	100	100

შენიშვნა: კვლევის შედეგებში აგრარული სფეროს პროფესიების მცირე წილი განაპირობა კვლევის ობიექტების შერჩევის სპეციფიკამ და იმ ფაქტმა, რომ სოფლის მეურნეობაში მცირეა დაქირავებით მომუშავეთა რიცხოვნობა.

კვლევის შედეგებით, მომსახურების სფეროში დომინირებს მოთხოვნა შემდეგი სახელობო პროფესიის კადრებზე: გამყიდველ-კონსულტანტი, პარიხმახერი/სტილისტი, მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი, მასაჟისტი/სპა ცენტრის სპეციალისტი, კოსმეტოლოგი, ძიძა და სხვ.; ინჟინერიის სფეროში მოთხოვნაა როგორც ტექნიკოსებზე, მექანიკოსებსა და მექანიზატორებზე, ისე სხვადასვა პროფილის ინჟინრებზე; სამედიცინო სფეროში განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა სხვადასხვა სპეციალობის ექიმებზე (სტომატოლოგი, თერაპევტი, ქირურგი, კარდეოლოგი, რენიმატოლოგი, ანესტეზეოლოგი და სხვ.); განათლების სფეროში დომინირებს მოთხოვნა უცხო ენის, მათემატიკის, ქიმიის, დაწყებითი განათლების, გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგებზე (რეგიონების მიხედვით დეტალური მონაცემები იხ. №2 დანართში).

იმის მიუხედავად, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება 2-3 წლის პერსპექტივაში უფრო რთულია, კითხვაზე: „**უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში რა პროფესიის კადრები დაგჭირდებათ?**“ – პასუხი გასცა გამოკითხული დამსაქმებლების 77,9%-მა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

დამსაქმებელთა პროგნოზით, პროფესიული განათლების (სახელობო, კვალიფიციური მუშების) კადრებიდან ყველაზე მეტი მოთხოვნა იქნება მომსახურების, ტრანსპორტისა და ტრანსპორტის მომსახურების, ტურიზმისა და სასტუმრო-სარესტორნო საქმის სპეციალისტებზე (იხ. ცხრილი 2.4.3). ეს გარკვეულწილად ასახავს ქვეყნის განვითარების სახელისუფლებო პრიორიტეტებს და აღნიშნული სფეროს კადრებზე მზარდი მოთხოვნის დადასტურებაა. საკმაოდ დიდი მოთხოვნა იქნება ასევე სამთო-მოპოვებისა და დამამუშავებელი დარგების კადრებზე.

ცხრილი 2.4.3. მოთხოვნა პროფესიული განათლების (კვალიფიციურ მუშათა) კადრებზე მომავალი 2-3 წლის მანძილზე, განათლების სფეროს მიხედვით, %

		<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	მომსახურება	21.3	23.8	15.8	19.6	14.9
2	ტრანსპორტი და ტრანსპორტის მომსახურება	13.1	14.6	8.7	14.5	9.2
3	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო საქმე	12.7	12.1	13.5	16.7	12.1
4	სამთო მოპოვება და დამამუშავებელი დარგები	12.6	11.6	15.5	8	18.4
5	ინჟინერია	11.5	9.9	14.6	8	20.6
6	ხელოვნება, სპორტი	8.8	9.3	5.9	10.1	9.9
7	მშენებლობა	8.4	7.2	11	12.3	9.2
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები	6.1	5.9	7.9	7.2	2.1
9	მედიცინა	3.9	3.9	4.2	2.9	3.5
10	აგრარული სექტორი	1.3	1.2	2.3	0.7	0.1
11	ფინანსები	0.3	0.5	0.6	–	–
	<i>სულ</i>	<i>100</i>	<i>100</i>	<i>100</i>	<i>100</i>	<i>100</i>

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მოთხოვნადი კვალიფიციური მუშათა კადრები განათლების სფეროს მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში დომინირებს მოთხოვნა მომსახურების, ტრანსპორტისა და ტრანსპორტის მომსახურების სფეროს კადრებზე; ქ. ქუთაისსა და მის შემოგარენში – მომსახურების, სამთო მოპოვებისა და დამამუშავებელი დარგების, ასევე ინჟინერიის სფეროს კადრებზე; ქ. ზუგდიდსა და მის

შემოგარენში – მომსახურების, ტურიზმისა და სასტუმრო-სარესტორნო საქმის, ტრანსპორტისა და ტრანსპორტის მომსახურების სფეროს კადრებზე; ქ. რუსთავსა და მის შემოგარენში – ინჟინერიის, დამამუშავებელი დარგებისა და მომსახურების სფეროს კადრებზე.

უმაღლესი განათლების სპეციალისტებიდან უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ყველაზე მეტი მოთხოვნა იქნება ბიზნესისა და მართვის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების სპეციალისტებზე (იხ. ცხრილი 2.3.4). აღნიშნული ჯგუფებიდან იმერეთში, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში ყველაზე მეტი იქნება მოთხოვნა ჯანდაცვის კადრებზე. მოსალოდნელია მოთხოვნის გაზრდა განათლების, ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის სპეციალისტებზე.

ცხრილი 2.4.4. მოთხოვნა უმაღლესი ბანათლების მქონე სპეციალისტებზე მომავალი 2-3 წლის მანძილზე, ბანათლების სფეროს მიხედვით, %

	<i>სფერო</i>	<i>სულ</i>	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	<i>ქ. ზუგდიდი და შემოგარენი</i>	<i>ქ. რუსთავი და შემოგარენი</i>
1	ბიზნესი და მართვა	24.3	26.3	20.4	15.2	20.3
2	განათლება	20.6	24.2	11.9	15.2	5.4
3	ჯანდაცვა	20.1	16.2	32.6	28.3	23
4	ინჟინერია და საინჟინრო საქმე	4.9	4.8	5.3	4.3	6.8
5	არქიტექტურა და მშენებლობა	4.2	4.2	4.9	2.2	5.4
6	სამართალი	3.7	3.5	3.5	7.6	4.1
7	სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები	3.4	2.9	4.2	7.6	4.1
8	საწარმო და დამამუშავებელი დარგები	3	2.5	3.9	2.2	8.1
9	ხელოვნება, კულტურა, სპორტი	3	2.9	1.4	7.6	4.1
10	მათემატიკა და სტატისტიკა	2	2	1.9		4.1
11	ჰუმანიტარული მეცნიერებები	1.9	2.1	1.1	3.2	
12	კომპიუტერული საქმე	1.7	1.9	1.1	1.1	2.7
13	ტურიზმი და სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება	1.7	1.9	1.4	2.2	–
14	ფიზიკური	1.7	1.8	0.7		5.4

	მეცნიერებები					
15	ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	1.4	1	1.8	2.2	3.8
16	სასოფლო, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა	1.1	0.7	2.1	1.1	2.7
17	ვეტერინარია	0.7	0.5	1.8	–	–
18	ტრანსპორტი	0.4	0.4	–	–	–
19	მეცნიერება სიცოცხლის შესახებ	0.2	0.2	–	–	–
	სულ	100	100	100	100	100

პროფესიებისა და სპეციალობების დეტალური ნუსხა, რაზეც საკვლევი რეგიონების დამსაქმებლებს ექნებათ მოთხოვნა მომავალი 2-3 წლის განმავლობაში, წარმოდგენილია №2 დანართში.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას დამსაქმებლები აპირებენ ასევე ამჟამინდელი *მომუშავეების გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით*. გამოკითხვის შედეგებით, დამსაქმებელთა 74,6%, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, გადაამზადებდა და/ან კვალიფიკაციას აუმაღლებდა თავის მომუშავეებს. პროფესიები და უნარები, რომლებიც ყველაზე ხშირად დასახელდა და რაშიც დამსაქმებლები საკუთარ მომუშავეებს აუმაღლებდნენ კვალიფიკაციას, საქმიანობის სფეროების მიხედვით, შემდეგია:

- სოფლის მეურნეობა** – აგრონომი, ვეტექიმი, ვეტერინარი, საფინანსო მენეჯერი.
- სამთომომპოვებელი მრეწველობა** – ინჟინერი/მექანიკოსი, ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის სპეციალისტი, ზეინკალი, გეოდეზისტი, ელექტრიკოსი.
- დამამუშავებელი მრეწველობა** – წარმოების ტექნოლოგი, ტექნიკოსი/მექანიკოსი, მცხოვრებელი/მზელავი, კონდიტერი, ბუღალტერი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, ელ. შემდუღებელი, მკერავი/გამომჭრელი, ავეჯის ხელოსანი, ხარატი/მხარხავი, ზეინკალი, მეტალო-კონსტრუქციების ხელოსანი, IT სპეციალისტი, პოლიგრაფისტი.
- ელექტრო ენერჯის, აირისა და წყალმომარაგება** – ელ. შემდუღებელი, ელექტრო მემონტაჟე, ელექტრო-ზეინკალი, გაზის მეურნეობის სპეციალისტი, IT სპეციალისტი, ბუღალტერი.
- მშენებლობა** – ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი (მშენებლობა), ელ. შემდუღებელი, მექანიზატორი/მემანქანე (საგზაო, სამშენებლო ტექნიკა), ფართო პროფილის მშენებელი, სანტექნიკოსი, მებეტონე/მეარმატურე, ელექტრიკოსი, მექანიკოსი/ტექნიკოსი (სამშენებლო ტექნიკა), IT სპეციალისტი, ბუღალტერი, უცხო ენის სპეციალისტი.
- ვაჭრობა** – ბუღალტერი, გამყიდველ-კონსულტანტი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, IT სპეციალისტი,

ფარმაცევტი/ფარმაკოლოგი, უცხო ენის სპეციალისტი. დამსაქმებლები თანამშრომლებს მასობრივად აუმაღლებდნენ კვალიფიკაციას მომსახურების კულტურასა და კომუნიკაციაში.

- **ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი** – ავტოშემკეთებელი (ძრავის, სავალი ნაწილის, კოლოფის, მეთუნეუქე, ზეინკალი, მღებავი, ავტოელექტრიკოსი), ავტოდიანოსტიკის სპეციალისტი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი, მემონტაჟე/შემკეთებელი ლიფტის, შემდუღებელი, სერვის მენეჯერი.
- **სასტუმროები და რესტორნები** – მიმტანი, მზარეული, ბარმენი, ადმინისტრატორი/მენეჯერი (სასტუმროს, რესტორნის, ბარის), მცხობელი, კონდიტერი. დამსაქმებლები თანამშრომლებს მასობრივად აუმაღლებდნენ კვალიფიკაციას მომსახურების კულტურასა და უცხო ენებში.
- **ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა** – ბუღალტერი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, უცხო ენის სპეციალისტი, IT სპეციალისტი, მგზავრთა გადაყვანის/გადაზიდვების სპეციალისტი, მძღოლი (ტრაილერის), ავტოშემკეთებელი.
- **ტურიზმი** – ტუროპერატორი, ანიმატორი, გიდი, რეზერვაციის სპეციალისტი; ყველა პროფესიის კადრს აუმაღლებდა კვალიფიკაციას უცხო ენებში.
- **კავშირგაბმულობა** – კავშირგაბმულობის ტექნიკოსი და ინჟინერი, ტელე და რადიო ჟურნალისტი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, კავშირგაბმულობის ოპერატორი, IT სპეციალისტი, პიარ-მენეჯერი.
- **საფინანსო შუამავლობა** – საკრედიტო ოფიცერი; მოლარე-ოპერატორი, საფინანსო მენეჯერი, კადრების მენეჯერი, ბუღალტერი.
- **დაზღვევა** – ანდერეიტერი (გადაზღვევის სპეციალისტი), საფინანსო მენეჯერი, დაზღვევის მენეჯერი.
- **ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა** – ბუთალტერი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, იურისტი.
- **კომპიუტერთან დაკავშირებული საქმიანობა** – IT სპეციალისტი, პროგრამისტი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, ბუღალტერი.
- **კვლევები და დამუშავებები** – გეოდეზისტი, გეოლოგი, არქიტექტორი, კონსტრუქტორი (მშენებლობა), IT სპეციალისტი, ფსიქოლოგი.
- **სახელმწიფო მართვა** – იურისტი, უცხო ენების სპეციალისტი, IT სპეციალისტი, ფინანსისტი/საფინანსო მენეჯერი, არქიტექტორი.
- **განათლება** – პედაგოგი (უცხო ენის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ქარტული ენის, დაწყებითი განათლების, ზოგადი უნარების, გეოგრაფიის და სხვ.), აღმზრდელი (ბაგა, ბაღი), ფსიქოლოგი, Iო სპეციალისტი. პედაგოგებს აუმაღლებდნენ კვალიფიკაციას სწავლების თანამედროვე მეთოდებში.
- **ჯანდაცვა** – ექთანი/მედდა, დიანოსტიკურ დანადგარებთან მომუშავე სპეციალისტი (ექოსკოპისტი, ენდოსკოპისტი, ტომოგრაფისტი და სხვ.), ექიმ-ლაბორანტი და ლაბორანტი, სტომატოლოგ-თერაპევტი, რეანიმატოლოგი, ქირურგი, პედიატრი, კლინიკის მენეჯერი და სხვ.

- *კომუნალური მომსახურება* – IT სპეციალისტი, ბუღალტერი, უცხო ენის სპეციალისტი.
- *პერსონალური და სოციალური მომსახურება* – პარინმახერი/სტილისტი; მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი, კოსმეტოლოგი, იურისტი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, ვიზაჟისტი/გრიმიორი, IT სპეციალისტი.
- *დასვენება, გართობა, კულტურა, სპორტი* – მწვრთნელი (ფეხბურთი, ცურვა, საბრზოლო ხელოვნება, კალათბურთი და სხვ.), საოფისე პერსონალი, ინსტრუქტორი (ფიტნეს-კლუბი, სოლარიუმი), ბუღალტერი.

კვლევის აღნიშნული შედეგების გათვალისწინება პროფესიული სწავლების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების დაგეგმვა/რეალიზაციისას, ხელს შეუწყობს როგორც მომუშავეთა პროფესიული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ისე ბიზნესის რენტაბელობის გაზრდას, რაც თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების ხელშეწყობის ბუნებრივი წინაპირობაა.

2.5. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების თავისებურებები

ევროკავშირის პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა – საქართველო“ (TIG) ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წამოადგენდა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების სფეროში არსებული ვითარებისა და მათ მიმართ დამსაქმებელთა განწყობის შესწავლა. ამისათვის შემუშავდა და კითხვარში ჩაიღო სპეციალური შეკითხვები, რომლებზე მიღებული პასუხებითაც შესაძლებელი გახდა შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება და გაანალიზება:


- ✓ წილობრივად რამდენ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში არიან დასაქმებულნი სამშობლოში ბოლო 5 წლის განმავლობაში დაბრუნებული მიგრანტები?
- ✓ რომელი ქვეყნებიდან დაბრუნდნენ ისინი?
- ✓ რა პოზიციებზე მუშაობენ ამჟამად?
- ✓ ჰქონდათ თუ არა მათ საზღვარგარეთ მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება?

- ✓ რამდენად ფასეულია დამსაქმებლებისათვის მათი საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება?
- ✓ დამსაქმებლები კადრების შერჩევისას, სხვა თანაბარ პირობებში, დაბრუნებულ მიგრანტებს თუ აძლევენ უპირატესობას?

კვლევის შედეგებით, გამოკვლეული 2136 ორგანიზაციიდან 346-ში (საერთო რაოდენობის 16%) დააფიქსირეს დაბრუნებული მიგრანტების მუშაობის ფაქტი; 1730 (81%) ორგანიზაციაში ასეთი კატეგორია არ აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენ 60 ორგანიზაციას (3%) გაუჭირდა ინფორმაციის დაზუსტება.

აღსანიშნავია, რომ დაბრუნებული მიგრანტების დასაქმების ფაქტი წილობრივად მეტმა დამსაქმებელმა დაასახელა იმერეთსა და ქვემო ქართლში (იხ. დიაგრამა 20). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ორივე რეგიონი მიგრაციის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება და სამშობლოში დაბრუნებულთა წილიც, საგარეოდ, მეტია, რაც მათი დასაქმების მაჩვენებლებზეც აისახა.

დიაგრამა 20



კვლევის შედეგებით, დაქირავებით მომუშავე დაბრუნებული მიგრანტების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან დიდი, ვინაიდან იმ 346 ორგანიზაციიდან, სადაც მუშაობენ დაბრუნებული მიგრანტები, 313-მა (90%) მიუთითა, რომ მათი რაოდენობა ორგანიზაციაში 1-დან 5 კაცამდეა. 21 ორგანიზაციაში – 6-დან 10 კაცამდე; 9 ორგანიზაციაში – 11-დან 20 კაცამდე, ხოლო 3 ორგანიზაციაში – 20-დან 40 კაცამდე..

რესპონდენტებმა დაასახელეს 39 ქვეყანა, საიდანაც მათთან დასაქმებული მიგრანტები დაბრუნდნენ. მათ შორისაა პოსტსაბჭოთა, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნები. იმიგრაციის ქვეყნების პირველი ათეული, რომლებიც დამსაქმებელთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა, შემდეგია:

ცხრილი 2.5.1. დასაქმებული მიგრანტების იმიგრაციის ქვეყნების ათეული, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით

იმიგრაციის ქვეყანა	საწარმო	%
1 რუსეთი	126	25
2 საბერძნეთი	62	12
3 თურქეთი	49	10
4 გერმანია	47	9
5 აშშ	38	7
6 ინგლისი	28	6
7 უკრაინა	26	5
8 ესპანეთი	15	3
9 საფრანგეთი	15	3
10 იტალია	11	2

გამოკვლეული რეგიონების მიხედვით, იმიგრაციის ქვეყნების პირველი ათეული გარკვეულწილად განსხვავებულია, თუმცა ყველა რეგიონში დომინირებენ რუსეთი და საბერძნეთი; სამეგრელოში რუსეთის შემდეგ მე-2 ადგილზე თურქეთი, ქვემო ქართლში კი აზერბაიჯანი დასახელდა (იხ. ცხრილი 2.5.2).

ცხრილი 2.5.2 დასაქმებული მიგრანტების იმიგრაციის ქვეყნების ათეული რეგიონების მიხედვით, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით

	ქ. თბილისი და შემოგარენი	საწარმო	%		ქ. ქუთაისი და შემოგარენი	საწარმო	%
1	რუსეთი	70	21	1	რუსეთი	27	30
2	საბერძნეთი	41	12	2	საბერძნეთი	15	17
3	გერმანია	40	12	3	თურქეთი	14	16
4	აშშ	36	11	4	ესპანეთი	8	9
5	ინგლისი	24	7	5	იტალია	6	7
6	თურქეთი	22	6	6	გერმანია	4	4
7	უკრაინა	17	5	7	უკრაინა	2	2
8	საფრანგეთი	14	4	8	ყაზახეთი	2	2
9	ისრაელი	9	3	9	ინგლისი	2	2
10	ესპანეთი	5	1	10	პორტუგალია	2	2
	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	საწარმო	%		ქ. რუსთავი და შემოგარენი	საწარმო	%

1	რუსეთი	22	54		1	რუსეთი	7	20
2	თურქეთი	9	22		2	აზერბაიჯანი	5	14
3	უკრაინა	4	10		3	საბერძნეთი	5	14
4	ინგლისი	1	2		4	თურქეთი	4	11
5	საბერძნეთი	1	2		5	უკრაინა	3	9
6	პორტუგალია	1	2		6	ესპანეთი	2	6
7	ერაყი	1	2		7	აშშ	1	3
8	გერმანია	1	2		8	ჰოლანდია	1	3
9	საფრანგეთი	1	2		9	ინგლისი	1	3
10	–	–	–		10	შვეიცარია	1	3

პოზიციები (თანამდებობები), რაზეც მუშაობენ დაბრუნებული მიგრანტები, მრავალფეროვანია. კერძოდ, კვლევის შედეგებით, 545 პოზიცია (თანამდებობა, სამუშაო) დასახელდა. პირველი 10 პოზიცია, რაზეც უფრო მეტი დაბრუნებული მიგრანტი მუშაობს, შემდეგია:

ცხრილი 2.5.3. დასაქმებული მიგრანტების სამუშაო პოზიციის (თანამდებობის) ათეული, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით

	<i>თანამდებობა</i>	<i>რაოდენობა, კაცი</i>	<i>%</i>
1	დამხმარე მუშა, მტვირთავი	22	5
2	საოფისე პერსონალი	16	4
3	გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი	15	3
4	მიმტანი	13	3
5	მზარეული, კულინარი	13	3
6	გამყიდველ-კონსულტანტი	12	3
7	ფინანსისტი/საფინანსო მენეჯერი	10	2
8	პედაგოგი	10	2
9	მცხობელი, მზელავი	10	2
10	წარმოების მენეჯერი	10	2

კვლევის შედეგებით, დასაქმებულ ემიგრანტთა 42% უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის პროფესიაზე მუშაობს, 51% – კვალიფიციური მუშის პროფესიაზე და 7% – არაკვალიფიციურ სამუშაოზე (რომელიც არ საჭიროებს წინასწარ მომზადებას). ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში ეს მაჩვენებლები შეადგენს შესაბამისად 51%-ს, 44%-ს და 5%-ს; იმერეთისათვის – 21%-ს, 71%-ს და 8%-ს; სამეგრელოსათვის – 32%-ს, 56%-ს და 12%-ს; ქვემო ქართლისათვის – 36%-ს, 8%-ს და 12%-ს.

დაბრუნებული მიგრანტების სამშობლოში დასაქმება დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შრომითი გამოცდილება ან განათლება მიიღეს საზღვარგარეთ. როგორც ცნობილია, საქართველოდან შრომით ემიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ არაკვალიფიციურ და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზეა დასაქმებული. საზღვარგარეთ მიღებული განათლების მქონე ახალგაზრდებს კი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მენეჯერულ პროფესიებზე დასაქმების მეტი შესაძლებლობები აქვთ. ეს კი სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა დასაქმების თავისებურებებზეც აისახება.

დაბრუნებულ მიგრანტთა დასაქმებაზე გავლენას ახდენს ასევე შრომის ადგილობრივი ბაზარზე მოთხოვნა/მიწოდების სპეციფიკა, რაც აისახა გამოკვლეული რეგიონების მიხედვით დაბრუნებულ მიგრანტთა დასაქმების განაწილებაზეც (იხ. ცხრილი 2.5.4). როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ქ. თბილისში დაბრუნებული მიგრანტები უფრო ხშირად ახერხებენ დასაქმებას გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, გამყიდველ-კონსულტანტისა და საოფისე პროფესიებზე, მაშინ როცა იმერეთში, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში დომინირებს დამხმარე მუშის პროფესია.


ცხრილი 2.5.4. დასაქმებული მიგრანტების სამუშაო პროფესიის (თანამდებობის) ათეული რეპროდუქციის მიხედვით, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით

	<i>ქ. თბილისი და შემოგარენი</i>	კაცი	%		<i>ქ. ქუთაისი და შემოგარენი</i>	კაცი	%
1	გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი	12	4	1	დამხმარე მუშა, მტვირთავი	5	6
2	გამყიდველ-კონსულტანტი	10	3	2	მიმტანი	4	5
3	საოფისე პერსონალი	10	3	3	დაცვის მუშაკი	3	4
4	დამხმარე მუშა, მტვირთავი	9	3	4	საოფისე პერსონალი	3	4

5	ფინანსისტი/საფინანსო მენეჯერი	8	3	5	ექთანი	3	4
6	მზარეული, კულინარი	8	3	6	მეტალო-კონსტრუქციების ხელოსანი	2	2
7	პედაგოგი	8	3	7	მძლოლი	2	2
8	მიმტანი	7	2	8	მოლარე-ოპერატორი	2	2
9	მცხობელი, მხელავი	6	2	9	ფინანსისტი/საფინანსო მენეჯერი	2	2
10	მენეჯერი წარმოების	6	2	10	საკრედიტო ოფიცერი	2	2
	ქ. ზუგდიდი და შემოგარენი	კაცი	%		ქ. რუსთავი და შემოგარენი	კაცი	%
1	დამხმარე მუშა, მტვირთავი	4	10	1	დამხმარე მუშა, მტვირთავი	3	9
2	საოფისე პერსონალი	3	7	2	ელ. შემდუღებელი	3	9
3	ექიმი-თერაპევტი	2	5	3	მენეჯერი წარმოების	3	9
4	გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი,	2	5	4	მიმტანი	2	6
5	მზარეული, კულინარი	2	5	5	დარაჯი	1	3
6	მცხობელი, მხელავი	2	5	6	ადმინისტრატორი/მენეჯერი რესტორნის, ბარის	1	3
7	მეფილე-მომპირკეთებელი	2	5	7	მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი	1	3
8	მეტალო-კონსტრუქციების ხელოსანი	1	2	8	ენდოკრინოლოგი	1	3
9	დარაჯი	1	2	9	მებეტონე, მემარმატურე	1	3
10	ადმინისტრატორი/მენეჯერი რესტორნის, ბარის	1	2	10	ტექნიკოსი/მექანიკოსი (სამკერვალო დანადგარების)	1	3


ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებას გავლენა აქვს დაბრუნებული მიგრანტების დასაქმებაზე, დასტურდება მოცემული კვლევის შედეგებითაც, რომელთა თანახმად, ამჟამად მომუშავე მიგრანტების ნახევარზე მეტს საზღვარგარეთ მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება აქვს (იხ. დიაგრამა 21).

დიაგრამა 21



კვლევის შედეგებით, დამსაქმებლები ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი დაბრუნებული მიგრანტების შრომითი გამოცდილების შესახებ, ვიდრე სხვა რეგიონებში (იხ. დიაგრამა 22).


დიაგრამა 22



საგულისხმოა, რომ გამოკითხული დამსაქმებლების 78% საკუთარი ორგანიზაციის წინსვლა/განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმიგრანტთა უცხოურ გამოცდილებას: დამსაქმებელთა 52%-სათვის ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო 26%-სათვის – შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. დაბრუნებული მიგრანტების გამოცდილებას განსაკუთრებით აფასებენ სამეგრელოსა და ქ. თბილისის


დამსაქმებლები, თუმცა ეს მაჩვენებელი სხვა რეგიონებშიც მაღალია (იხ. დიაგრამა 23).

დიაგრამა 23



დაბრუნებული მიგრანტების საზღვარგარეთ შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობის აღიარებაა ის ფაქტიც, რომ *გამოკითხული დამსაქმებლების 50%, სხვა თანაბარ პირობებში, სამუშაოზე მიღებისას უპირატესობას ანიჭებს იმ კანდიდატს*, რომელსაც აქვს მსგავს პოზიციაზე საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება (იხ. დიაგრამა 24).


დიაგრამა 24



დამსაქმებლები, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად დადებითი პოზიცია აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში, მეტია იმერეთსა და სამეგრელოში, ანუ იმ

